გაზეთი ბევრის, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№26 (1667) 19 — 25 ივლისი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

უკვე დასრულებული და მშენებარე ინფრასტრუქტურული პროექტები პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი სვანეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში

დაიხურა თუ არა ნატო-ს კარი საქართველოსთვის

„მთავარი დემოკრატიის განვითარებაა" – აკია ბარბაქაძის შეფასებები და პროგნოზები

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ნადირობა კუდიანებზე ანუ რატომ ვქებთ ბნელ ოთახში ისევ შავ კატას

მითები, რომლებიც კარგად იყიდება

როდის დასრულდება ენმ-ისა და სტრატეგია აღმაშენებლის მოლაპარაკების პირველი რაუნდი

პაატა მანჯგალაძე: „ხვალ ისევ მელია რომ გახდეს თავმჯდომარე, ჩვენ ხომ, ამის გამო, საქართველოს გადარჩენაზე უარს არ ვიტყვით?"

უკვე დასრულებული და მშენებარე ინფრასტრუქტურული პროექტები პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში

მაკა რუხაძე

„შარშან დავიწყეთ „მთის დღეების“ აღნიშვნა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომელიც ემსახურება, ზოგადად, მთის დაფასებას, მთაში მცხოვრები მოქალაქეების დაფასებას. მე მინდა, მათ კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა შოვში, „მთის დღეების“ ფარგლებში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე. მთავრობის მეთაურის თქმით, „მთის დღეები“ არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, დაათვალიერონ ქვეყნის უნიკალური ბუნება, არამედ, ბევრ ტურისტსაც მოიზიდავს. თუმცა, ვიდრე შოვში, „მთის დღეების“ ცერემონიას დაესწრებოდა, პრემიერი სვანეთსა და ლეჩხუმსაც ეწვია და იქ მიმდინარე, თუ უკვე დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი სვანეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში

ვიდრე „მთის დღეების“ ცერემონიას განვიხილავთ, მივყვეთ ქრონოლოგიას და ლენტეხით დავიწყოთ, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი 15 ივლისს იმყოფებოდა. ლენტეხში, მთავრობის მეთაურმა თამარ მეფის განახლებული ქუჩა დაათვალიერა, რომლის რეაბილიტაცია მისივე ინიციირებული პროგრამის – „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში განხორციელდა.

მთავრობის მეთაურს განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ მიაწოდა. ქარსელაძემ აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში, განახლდა შენობების გარე ფასადები, შეიცვალა კარ-ფანჯრები, ჩატარდა ქუჩების, სკვერების გამწვანებისა და მოპირკეთება-მოწყობის სამუშაოები.

პროგრამის – „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ლენტეხში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 24 შენობას, თუმცა მთლიანობაში, რეაბილიტირდება 39 შენობის გარე ფასადები; შეიცვლება კარ-ფანჯრები, მოეწყობა გზის გამყოფი გამწვანების ზოლი, ღობეები, ტროტუარები, სკვერი. სამუშაოები ჩატარდა სამ ეტაპად. პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოებში დაიხარჯა 4 935 828 ლარი, მაგრამ დამატებით იგეგმება 1 800 000 ლარის ინვესტირება.

ამის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილმა ლენტეხში, მჟავე წყლის განახლებული ტერიტორიაც დაათვალიერა, რადგან მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები უვკე დასრულდა. პროექტის ფარგლებში, კეთილმოეწყო მცირე ზომის საგამოფენო სივრცე. მოწესრიგდა მიმდებარე გზის სავალი ნაწილი და სადრენაჟე სისტემა, მოეწყო პარკინგი, დეკორატიული განათებები, მოპირკეთდა კედლები, დამონტაჟდა სკამები.

პროექტი 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, რომლის ღირებულება 1 200 000 ლარი გახლდათ.

ლენტეხის შემდეგ, პრემიერმა გეზი ლეჩხუმისკენ აიღო და ცაგერის ცენტრალური ბაზრის ტერიტორია, დავით აღმაშენებლის ქუჩა და სკვერი დაათვალიერა. მეტიც, მთავრობის მეთაური ადგილზე, ცაგერის მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა.

ეს პროექტები ცაგერში, პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის – „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში განხორციელდა. აშენდა ახალი აგრარული ბაზრის თანამედროვე სტანდარტების შენობა. რაც მთავარია, ცაგერში დასრულდა ლადო ასათიანის სახელობის სკვერის, რუსთაველისა და კოსტავას ქუჩებზე არსებული 17 შენობის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სკვერის საფეხმავლო ბილიკები, დაიგო ქვაფენილი, დამონტაჟდა დამატებითი გარე განათება, განახლდა რეკრეაცია, შენობების ფასადები, ვიტრაჟები, საფეხმავლო ზოლი და მიმდებარე სახლების ღობეები.

ცაგერში სამუშაოები ჩატარდა სამ ეტაპად, პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოებზე დაიხარჯა 5 031 885 ლარი, ხოლო მესამე ეტაპის სამუშაოებზე, დამატებით. 1 მილიონი ლარის ინვესტირება იგეგმება.

ირაკლი ღარიბაშვილი ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ სტეფანესაც შეხვდა და მასთან ერთად, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მშენებარე ტაძარი დაათვალიერა. უკვე ორი წელია, რაც უძველესი ტაძრის აღდგენა მიმდინარეობს. ძველი ტაძრის ნანგრევების აღდგენის პარალელურად, სრულდება ტაძრისა და ეზოს სამშენებლო და მოპირკეთების სამუშაოები.

ლეჩხუმიდან პრემიერ-მინისტრი რაჭას ესტუმრა და შოვში, „მთის დღეების“ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

„მთა ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველწლიურად, სხვადასხვა ლოკაციაზე გავმართავთ „მთის დღეებს“ და ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი ტრადიციაა. გარდა იმისა, რომ ჩვენს მოქალაქეებს შეეძლებათ, მოინახულონ ჩვენი უნიკალური ბუნება, მართლაც უნიკალური, ხელშეუხებელი ბუნება, ჩვენი საგანძური, ბევრი ტურისტი ჩამოვა, ბევრი დამსვენებელი ნახავს ჩვენი ქვეყნის სილამაზეს, სიდიადეს და ვფიქრობ, ძალიან კარგი ტრადიცია გამოგვივიდა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ფესტივალის ფარგლებში, მთის ერთგულებისა და მთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ტყის მცველები დაჯილდოვეს.

„მთის დღეები“ საქართველოს მთავრობისა და უშუალოდ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მეორე წელია, იმართება.

ფესტივალის ფარგლებში, შეფებმა – ლევან კობიაშვილმა და დიმიტრი შარაშიძემ კულინარიული „მასტერკლასი“ ჩაატარეს. სტუმრები გაეცნენ მთის ხინკლის ისტორიას, საფესტივალო სივრცეში გამოფენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა და შემეცნებითი, ეთნოგრაფიული კუთხე. ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო სპორტული აქტივობები და შემეცნებითი ტურები.

შოვის გარდა, 15 ივლისს, „მთის დღეები“ გაიმართა თუშეთსა და იმერეთში, ხოლო 22 ივლისს, ყაზბეგში, გურიასა და სვანეთში ჩატარდება, სადაც წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი გასართობი და შემეცნებითი პროგრამა, ადგილობრივი კერძების „მასტერკლასები“ და დეგუსტაცია.

ამის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილი ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია და ახლადაშენებული მუზეუმი დაათვალიერა. განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მთავრობის მეთაურს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ მიაწოდა.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ონის მუზეუმის აღჭურვაზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი და „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ კოორდინირებულად იმუშავებენ, რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა საჭირო სახსრები. ამჟამად, მუზეუმის მიერ მომზადებული კონცეფციის მიხედვით, მიმდინარეობს შესაბამისი პროექტის მომზადება.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა 2022 წელს დასრულდა. ახალი, თანამედროვე სტანდარტის მუზეუმის შენობაში გათვალისწინებულია მუდმივი ექსპოზიციისა და დროებითი გამოფენების ორსინათლიანი დარბაზები და ფონდსაცავები, საკონფერენციო დარბაზი – სცენით და სინქრონული თარგმანის ოთახით. მუზეუმს აქვს სივრცეები ბიბლიოთეკისა და მედიათეკისათვის, ბავშვთა საგანმანათლებლო ზონა, საგამოფენო ადმინისტრაცია, ფონდსაცავები და დამხმარე სათავსოები. მშენებლობისას გამოყენებულია ადგილობრივი ბუნებრივი ქვა და ხის მასალა.

შენობა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობის პროექტირება-მშენებლობა საქართველოს მთავრობამ 5 500 000 ლარით დააფინანსა. მუზეუმში განთავსდება წლების განმავლობაში დაგროვილი უნიკალური და მნიშვნელოვანი არტეფაქტები. ახალი მუზეუმით, ონს შეემატა კიდევ ერთი ეფექტინი სივრცე კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და საჯარო ღონისძიებებისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილი ამბროლაურში, ღვინის საწარმო „მელიტონს“ ესტუმრა, სადაც მას საწარმოს მფლობელმა, გიორგი სხირტლაძემ უმასპინძლა. გიორგი სხირტლაძემ პრემიერს საკუთარი კომპანიის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ხაზი გაუსვა სოფლის მხარდაჭერის კუთხით განხორციელებული პროექტების მნიშვნელობას. სხირტლაძის თქმით, ღვინის საწარმოს დაარსებასა და წარმატებით ფუნქციონირებაში სახელმწიფო პროგრამები დაეხმარა.

მეღვინეობა „მელიტონმა“, სოფლის განვითარების სააგენტოს 300 000 ლარიანი თანადაფინანსებით და 450 000 ლარის ოდენობით, შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროგრამით ისარგებლა. საწარმო სეზონზე 100 ტონა ყურძენს ამუშავებს.

ამბროლაურშივე, ირაკლი ღარიბაშვილმა აგრანო ვაჩაძის სახელობის საფეხბურთო სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახლადმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა – მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის სტადიონები და ფრენბურთისთვის განკუთვნილი ქვიშის მოედანი დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურმა განხორციელებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა. პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რომლის ჯამური ღირებულება 905 555 ლარი იყო.

მიმდინარე წელს, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ოთხი სხვადასხვა დანიშნულების სპორტული მოედნის მოწყობის გარდა, შიდა პერიმეტრზე, ბეტონის საფარის ბილიკები დააგეს, ტერიტორია შემოღობეს, განათებები დაამონტაჟეს და დაზიანებული ინფრასტრუქტურა აღადგინეს.

მთავრობის მეთაურმა თავისი ვიზიტი სვანეთში, ლეჩხუმსა რაჭაში, ამბროლაურში დაასრულა. აქ მან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ლერი ბარნაბიშვილთან ერთად, ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის რეაბილიტირებული სკვერი და მდინარე კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის – „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ამბროლაურში, სრულად განახლდა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის პარკი და დათუნიკა სხირტლაძის სახელობის სკვერი. შენობებზე გამოიცვალა ვიტრაჟები, ფასადები განახლდა ენერგოეფექტიანი მასალებით, სკვერებში განახლდა საფეხმავლო ზოლი, დაიგო ქვაფენილი, დაემატა მწვანე ნარგავები, დამონტაჟდა სკამები და მოეწყო ერთი ღია ტიპის სცენა. ამბროლაურში, პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ჯამში, 4 088 919 ლარი მოხმარდა.

მდინარე კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. შედეგად, ტერიტორიაზე მოეწყო რეკრეაციული ზონა, სხვადასხვა ტიპის მოსასვენებელი სივრცეები, ველობილიკი, საფეხმავლო ხიდი; დაიდგა მხარის სახელწოდების აღმნიშვნელი ორენოვანი კონსტრუქცია; დამონტაჟდა გარე განათების ქსელი, სკამები და სხვა საბაღე ინვენტარი; დაიგო დეკორატიული ფილები და ჩატარდა გამწვანების სამუშაოები.

ნადირობა კუდიანებზე ანუ რატომ ვეძებთ ბნელ ოთახში ისევ შავ კატას

ნინო დოლიძე

ის, რომ რუსეთი მტერი და ჩვენი ოკუპანტია, ბრალდება კი არა, რეალობაა, მაგრამ ზოგიერთები ცდილობენ, ჩრდილოელი მეზობელი ანგელოზად წარმოაჩინონ და ყველაფერში დასავლეთი – ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები დაადანაშაულონ, მაგრამ იმის დაჯერება, რომ მთელი მსოფლიო საქართველოს განადგურებაზე ოცნებობს, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა.

ასეა თუ ისე, ღვთისმშობლის წილხვედრში „კუდიანებზე ნადირობა“ ისევ აქტუალურია. მართალია, ამ მხრივ ჯორჯ სოროსი აქტუალური აღარ არის, მაგრამ იყო დრო, როცა ერთ-ერთ „მთავარ კუდიანად“ ითვლებოდა. სოროსის „გაიჩითვამდე“ კი საქართველოში და, ზოგადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში „ეშმაკის მოციქულად“ ალენ დალესს მიიჩნევდნენ ანუ გარკვეული „ტიპები“ ირწმუნებოდნენ, რომ „დიად საბჭოთა სამშობლოს“ დალესი ებრძოდა. მეტიც, 90-იანი წლების დასაწყისში, ესე იგი, მაშინ, როცა სსრკ-მ სული განუტევა და ეროვნული მოძრაობა აღზევდა, საქართველოში ერთობ ფესვგამდგარი იყო მოსაზრება, რომ ალენ დალესს ქართველების სისხლი სწყუროდა. ეს თეორია, იმთავითვე, აბსურდული იყო, მაგრამ ვინაიდან საქართველოში კუდიანებზე ნადირობა დღესაც აქტუალურია, „ვერსია“ არქივიდან გთავაზობთ სტატიას, რომელიც სოროსსა და დალესს ეხება. მაშ, ასე, მოიმარაგეთ პოპკორნი და გაიგეთ, რა წერია ე.წ. გეგმაში, რომლის ავტორადაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი შეფი, ალენ დალესი ითვლება (ეს პოსტი დალესს 1953-61 წლებში ეკავა).



მითები, რომლებიც კარგად იყიდება

დალესის დოქტრინა

ინტერნეტ თუ ბეჭდურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დალესის გეგმაში, რომელიც საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ანუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემუშავდა, პირდაპირ წერია:

„ქაოსს შევქმნით, ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს სიყალბით და ვაიძულებთ, მათ იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. როგორ? ჩვენ ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებს, ჩვენს თანამშრომლებსა და მოკავშირეებს...

ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენ მათ თანდათან მოვუსპობთ სოციალურ არსს. ხელოვანთ ჩავუკლავთ მისწრაფებას – შექმნან სახეები, გამოიკვლიონ პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ ხალხთა მასების წიაღში. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე უფრო მდაბალი გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ, ყველანი, პირადად მხარს დავუჭერთ და შევაქებთ ეგრეთ წოდებულ მხატვრების შეგნებაში სექსის, ძალადობის, სადიზმის კულტს..

ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უპრინციპობას; ბიუროკრატი აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე... პატიოსნება და წესიერება გამასხარავებული და არავისთვის საჭირო აღარ იქნება. იგი წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა.

უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... უსირცხვილობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა... ყველაფერი ეს, ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით. მხოლოდ ზოგიერთნი მიხვდებიან და გაიგებენ კიდეც, თუ რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით. მოვძებნით ხერხს, რომ მათ ცილი დასწამონ და ისინი საზოგადოების ნაძირალებად გამოაცხადონ. ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვქრთამოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდობისაგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს და ვერც სხვათა მოკვდავთა გეგმებს ძალუძთ ეს გააკეთონ და შედეგს მიაღწიონ“.

როგორც აღვნიშნეთ, დალესის, როგორც შეთქმულების გეგმაზე, განსაკუთრებით აქტიურად გასული საუკუნის მიწურულს საუბრობდნენ, თუმცა პერიოდულად, ქართულ ბეჭდურ მედიაში დღესაც იბეჭდება მასალები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს დასავლელი მტრები, სწორედ დალესის დოქტრინით მოქმედებენ.

ასე, მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ, ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი – „საქართველოში მოვლენები დალესის გეგმის მიხედვით ვითარდება“, რომელშიც ვკითხულობთ:

„... დალესის გეგმა გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყანაში მარიონეტული ხელისუფლების დასმას და ეთნიკური სიძულვილის გაღრმავებას. საქართველოს ბოლო წლების ისტორია, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები შეიძლება ამჭრილში განვიხილოთ.

ამ გეგმის მიხედვით, ზესახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა უნდა ჰყავდეს დამორჩილებული.

ოჯახი, როგორც სიცრუის, პირფერობის, ღალატისა და სისასტიკის ბუდე, მოიშლება. ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წამლავს წარმოსახვასა და ფრთებს კვეთს თავისუფალ ნებას, დაინგრევა.

გენეტიკურ ლაბორატორიებში მოხდება ჩასახვა და აღმოცენება სრულყოფილი ბიჭუნებისა. ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ გვგგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთი ყმაწვილი იქნება. ჩვენ მიჯაჭვულნი ვართ სილამაზისა და ესთეტიკის კულტთან. ყველაფერ მახინჯს, ვულგარულსა და ბანალურს მოვსპობთ. ჩვენთვის უკიდურესობაც კი ძალიან ცოტაა...

მიხეილ სააკაშვილი და მისი უზნეოთა გუნდი, არა მხოლოდ ისინი, საქართველოში სწორედ ამ პრინციპებით მოქმედებდნენ და მოქმედებენ დღესაც. მათთან ერთად, იგივე სქემით მოქმედებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, ისე ჩნდებიან საქართველოში ამერიკული გრანტების ასათვისებლად და ქვეყნის ინტერესების ღალატით ფულის საშოვნელად. მათ გვერდით მოჰყვებიან, ტოლს არ უდებენ ქვეყნის გაყიდვასა დადაქცევაში, უპრინციპო და ამორალური ექსპერტ-პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები. შეგიძლიათ დააკვირდეთ ქრონოლოგიას, ეს უნამუსოები (ყველას, რა თქმა უნდა, არ ეკუთვნის) ისე იცვლიან აზრებსა და შეხედულებებს, როგორც მსუბუქი ყოფაქცევის დედაკაცი მამაკაცებს... სადაც მეტი ფულია, იქეთკენ იხრებიან მუდამ.

ამ ურჯულოებმა კარგად იციან, რომ საზოგადოების გაკონტროლებისთვის ეკლესიაა უმთავრესი ძალა. სწორედ ეკლესიიდან მოდის ზნეობა და ღირსეული ცხოვრების წესი. ეკლესიურ ადამიანს კი ვერცერთ ხელოვნურად შექმნილ სქემაში მოამწყვდევ, ამიტომაც მაქსიმალურად ამკვიდრებენ ყოველგვარ უზნეობასა და ლაფს ასხამენ ავტორიტეტებს. ცხადია, მათ ინსტრუქტაჟს ამერიკელი „პატრონები“ უტარებენ...

ყველაფერი ეს, ზოგ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში და განსაკუთრებით, საქართველოში წარმატებით ხორციელდება, იგივე პროცესები ვითარდება უკრაინაშიც.

ყველა თქვენთაგანმა უწყის, რომ საქართველოში, განსაკუთრებით, სააკაშვილის მმართველობისას ხორციელდებოდა სხვადასხვა ძვირადღირებული პროექტები, გამალებით აგებდნენ გზებს და აშენებდნენ უძვირეს ხიდებს, დიდ თანხებს იხდიდნენ სხვადასხვა რანგის მომღერლების საქართველოში მოსაწვევად, ბევრს გასჩენია კითხვა, რატომ იხარჯება მილიონები ამაზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შიმშილის ზღვარზეა?! ხომ არ აჯობებდა, ხელისუფლებას ეს მილიონები ფაბრიკა-ქარხნების შექმნაზე, რომლებიც სამუშაო ადგილებს გააჩენდა, მეცნიერების განვითარებაზე და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად დაეხარჯა?!

ცხადია, ესეც იმ გეგმის ნაწილია, რომელიც აშშ–ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შეიმუშავეს – საზოგადოების უდიდესი ნაწილის გაღარიბების ფონზე, მისი მცირე, უმნიშვნელო ნაწილისთვის, რომელიც მმართველ რეჟიმს თავგადაკლული ემსახურება, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნისა და გამდიდრების მიზნით“.

„სოროსული შეთქმულება“ – მითი თუ რეალობა

საერთოდ, ზოგს შეთქმულების თეორიების სჯერა, ზოგი კი ყველაფერ ამას ალმაცერად უყურებს და ამბობს, რომ ე.წ. შეთქმულების თეორიებს სპეცსამსახურები შეგქნებულად ქმნიან, რამეთუ მასების მართვა გაუადვილდეთ. არსებობის უფლება, რასაკვირველია, ორივე ვერსიას აქვს, მაგრამ აქვე, აღსანიშნავია, რომ დალესისა და იგივე სოროსის „მტრის ხატად“ შერაცხვას უმეტესად ის პოლიტიკური ჯგუფები თუ ცალკეული სუბიექტები ცდილობენ, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ჩრდილოეთთან არიან ასოცირებულნი.

დავუშვათ, სოროსი, დალესისა არ იყოს, საქართველოს პოლიტიკური ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს, მაგრამ აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ იგივე 90-იან წლებში, როცა საქართველოში ფეხი უკიდურესმა სიღატაკემ მოიკიდა, ინტელიგენციის ნაწილი, სწორედ სოროსის ფულმა გადაარჩინა ანუ მართალია, მაშინ საქართველოში ე.წ. სოროსის ფონდი ჯერ არ ფუნქციონირებდა, მაგრამ ხელისუფლება, გავრცელებული ინფორმაციით, სოროსისგან გარკვეულ თანხას იღებდა და ინტელიგენცია შიმშილით სიკვდილს სწორედ ამ ფულით გადაურჩა.

მერე, გამოხდა ხანი და 2000-იანი წლების დასაწყისში, ანტისოროსული კამპანია ისევ გააქტიურდა, რომელსაც სათავეში ცხონებული თემურ ჟორჟოლიანი ჩაუდგა – იმხანად სოროსის ფიტულების დაწვა ერთგვარ მოდადაც იქცა. ამასთან, არასამთვრობო ორგანიზაციაც შეიქმნა, რომელსაც პირდაპირ „ანტისოროსი“ ერქვა და რომლის ფინანსური დონორიც, არსებული ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელი, ყველა დროის ნომერ პირველ ტერორისტად შერაცხული იგორ გიორგაძე გახლდათ.

დასასრული მე-15 გვერდზე

როდის დასრულდება ენმ-ისა და სტრატეგია აღმაშენებლის მოლაპარაკების პირველი რაუნდი

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

ბოლო დროს აქტუალურია კითხვა – იქნება თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ პრემიერობის კანდიდატი გიორგი ვაშაძე? ენმ-ის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ყოფილ თანამებრძოლთან კონსულტაციები მიმდინარეობს. ენმ და სტრატეგია აღმაშენებელი, 2024 წლის არჩევნებისთვის გაერთიანებას გეგმავს. საინტერესოა, ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანებას არჩევნებისთვის მხოლოდ ვაშაძის პარტია აპირებს, თუ სხვებიც...
„ლელო“ ენმ-თან თანამშრომლობას კატეგორიულად გამორიცხავს, არ განიხილავს კონსულტაციებსაც კი. პარტია თავად ემზადება არჩევნებისთვის პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი შექმნას...
აღნიშნულ თემებზე „ვერსია“ სტრატეგია აღმაშენებლის ერთ-ერთ ლიდერ პაატა მანჯგალაძეს ესაუბრა:

პაატა მანჯგალაძე: „ხვალ ისევ მელია რომ გახდეს თავმჯდომარე, ჩვენ ხომ, ამის გამო, საქართველოს გადარჩენაზე უარს არ ვიტყვით?“

– კონსულტაციების ფაზაში ვართ და ამ კვირის ბოლოს მოლაპარაკების პირველი ეტაპი დასრულდება. არ მინდა, არასწორად გავრცელდეს ინფორმაცია, რომ თითქოს პარტიების გაუქმება ან შერწყმა ხდება. მოლაპარაკება არის ახალი პლატფორმის შექმნაზე, რომელიც იქნება არა რიგითი მესამე ცენტრი, არამედ, რეალური ძალების პლატფორმა, რომელიც იბრძოლებს გამარჯვებისთვის და გამარჯვების რწმენას დაუბრუნებს ხალხს.

ამ პროცესის მთავარი პრობლემა არის ნიჰილიზმი. ხალხმა იცის, რაც არის „ქართული ოცნება“, მაგრამ მიდის პროპაგანდა, რაშიც, სამწუხაროდ, ოპოზიციური მედიებიც არიან ჩართულნი, რომ ოპოზიციაც არ ვარგა. ხალხი ფიქრობს, თუ არც ხელისუფლება ვარგა და არც ოპოზიცია, მოდი, იმ კარტოფილს და 50 ლარს ავიღებ და გავყიდი ჩემს არჩევანსო. საბოლოო ჯამში, „ფულის ტომარა“ ჩინოვნიკი რჩება გამარჯვებული.

ამას უნდა დავუპირისპიროთ ახალი იდეები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მესამე და მეორე ცენტრი კი არა, გამარჯვება სჭირდება ხალხს და ამის რწმენა უნდა დავუბრუნოთ მათ.

კიდევ ერთ მთავარ პრობლემაზე ვისაუბრებ – ოპოზიციას გვაქვს განცდა, რომ აღმატებულ იდეებს ვემსახურებით და იმ ყოველდღიური სატკივარისთვის, რაც აქვს მოქალაქეს, დრო არ გვრჩება. კითხვას ვსვამ – გაზომა ვინმემ, ადამიანის არჩევანზე რა გავლენას ახდენს შიმშილი? – არავინ იცის. აქეთ დგას დემოკრატია და იქით დგას პურის შოვნის ამოცანა. რატომ ვართ დარწმუნებულები, რომ მშიერი ადამიანი სიტყვის თავისუფლებასა და დემოკრატიას, ან სამართლიან სასამართლოს აირჩევს? მე არ ვარ დარწმუნებული. ამიტომ, უნდა ვისწავლოთ იმ ტკივილის გაზიარება, რაც მოქალაქეს აქვს და როცა ამას გავაკეთებთ, კი არ უარვყოფ დიდ იდეებზე საუბარს, როგორებიცაა: თავისუფლება, ღირსება..., მაგრამ 240 000 ბავშვს შია და მათი დედები მოკლებულნი არიან ყოველდღიურ დიდ ღირებულებებზე ფიქრს. ისინი ფიქრობენ რუტინაზე, როგორ იშოვონ ლუკმა-პური თავისი შვილებისთვის. იმ ხალხის პრობლემის მოგვარების გააზრებას და იმ ტკივილის გაზიარებას რომ შევძლებთ, მაშინ მოვალთ ხელისუფლებაში.

– როგორ აპირებთ ყველაფერ ამის საარჩევნო გეგმაში ასახვას?

– გიორგი ვაშაძე არის ოპტიმალური გადაწყვეტა ამ ყველაფრის. მართალია, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ ოპტიმალურია, რადგან ახალგაზრდა ადამიანმა, 28 წლის ასაკში გაატარა უნივერსალური რეფორმები იუსტიციის სახლებთან დაკავშირებით და სხვა მიმართულებით. მათ შორის, უკრაინაში, ალბანეთში და წარმოიდგინე, ადამიანი პრემიერ-მინისტრი რომ გახდეს, რა მოხდება ქვეყანაში. იუსტიციის სახლის ტიპის რეფორმები გვექნება ყველა მიმართულებით.

– ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგი ვაშაძე ნამდვილად იქნება პრემიერობის კანდიდატი?

– ნამდვილად იქნება – არასწორია. ჩვენ გვინდა, კანდიდატი იყოს ის, ვისაც გაუკეთებია და ვისი გაკეთების დაპირებასაც დაიჯერებს ხალხი. თუ ასეთი ბევრია, იყოს კონკურენცია მათ შორის, მაგრამ ვფიქრობ, ბევრი არჩევანი არ გვაქვს.

– „ჩვენ გვინდა“-ში მხოლოდ სტრატეგია აღმაშენებლის სურვილს გულისხმობთ?

– ამ წუთას ვგულისხმობ სტრატეგია აღმაშენებლის სურვილს, მაგრამ როგორც ვიცი, გიორგი ვაშაძის პიროვნებისა და გაკეთებული საქმის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებაა ნაციონალურ მოძრაობაში, მაგრამ ეს ძალიან დიდი გუნდია. იქ არის მიშა სააკაშვილის, რეგიონალური ლიდერების ფაქტორი და ყველასთან მოგვიწევს ლაპარაკი, რადგან „მე მინდა“ კი არა, მთავარია, ყველა დავარწმუნოთ, რომ ასეა საჭირო საქართველოსთვის.

– მიხეილ სააკაშვილი რა მოსაზრებას გამოთქვამს გიორგი ვაშაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით?

– ჩვენ არ გვისაუბრია ამ საკითხზე.

– ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისგან ხომ არ გაგიგიათ მისი აზრი ამ საკითხზე?

– არა, ჯერ არ დგას ეს საკითხი, ძალიან ადრეა. ჯერ სააკაშვილის ჯანმრთელობის, გადარჩენის საკითხი დგას. ადამიანი გადარჩენისთვის იბრძვის და ამ დროს „მე პრემიერი ვარ და მომისმინეთ“, არასწორი იქნება. მათ შორის, მიშას აზრიც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი იქნება ამ პროცესში.

– მნიშვნელოვანია ენმ-ში მიმდინარე პროცესები. პარტია დაყოფილია მელიასა და ხაბეიშვილის ბანაკებად...

– ჩვენ მენეჯმენტთან გვაქვს ურთიერთობა. წინა მენეჯმენტთანაც ვთანამშრომლობდით, ნიკა მელიასთან. ჩემი, სხვა პარტიის წარმომადგენლის, მხრიდან შეფასებების კეთება არასწორია.

– შეფასებას არ გთხოვთ, მაინტერესებს, როცა მოლაპარაკებას აწარმოებთ, იქ წარმოდგენილია მელიას გუნდიც?

– არ ვიცი, იქ რა ბალანსია. თვითონ იცის ნაციონალურმა მოძრაობამ რა კონფიგურაციით უნდა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს მათი გადასაწყვეტია, ხვალ ისევ მელია რომ გახდეს თავმჯდომარე, ჩვენ ხომ, ამის გამო, საქართველოს გადარჩენაზე უარს არ ვიტყვით? ამიტომ, ჩვენთვის პიროვნებების დამსახურებები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ პიროვნებების დონეზე არ გვინდა ურთიერთობების დაყვანა. უფრო მეტი გვაერთიანებს, ვიდრე პიროვნებების წყენის საკითხია.

– ბატონო პაატა, აცხადებთ, რომ თქვენი გაერთიანება იქნება მძლავრი და ხელისუფლების დამამარცხებელი. ამ დროს ერთიანდებით იმ პარტიასთან, სადაც შეთანხმების პრობლემებია. ეს დამაბრკოლებლად არ მიგაჩნიათ?

– თუ ეს პრობლემა არის იმ მასშტაბის, რომ შეუთავსებელია და ცალკე უნდა გავიდეს ჯგუფი, ამაშიც ვერ ვხედავ პრობლემას, რადგან შესაკრებთა გადანაცვლებით, არაფერი იცვლება. თუ შიგნით ნახავენ საერთო ენას, ეს კიდევ უკეთესი იქნება. მთავარია, პროპაგანდას არ მიეცეს გასაქანი, ისეთი რამ არ გავაკეთოთ არავინ, რომ თქვენ, კი არ ერთიანდებიან, იშლებიანო. „იმედს“ ჰქონდა სიუჟეტი, ოპოზიცია საშინელ დღეშიაო. ოპოზიცია კი არა ქვეყანაა საშინელ დღეში, რადგან გარბის ასობით ათასი ადამიანი!

– თქვენ გარდა, ამ პლატფორმაში სხვა პარტიებიც ერთიანდებიან?

– პირდაპირ ვამბობ, დიდი არჩევანი პარტიების მხრივ არც არის. სულ 5-6 პარტიაა, ვისაც პულსი ესინჯება. ვისაც უნდა, მოვა... პარტიების გარეთ უფრო მეტი კარგი ადამიანია, ვიდრე პარტიებში – ვაღიაროთ. ჩვენ გვინდა, პლატფორმა შევქმნათ ახალი თაობის ლიდერებით.

– საინტერესო რამ თქვით... წესით, ეგეთი კარგი ადამიანები, ვინც პოლიტიკურ ამინდს უნდა ქმნიდეს, ოპოზიციურ პარტიებში არ უნდა იყვნენ? რატომ არ არიან, თქვენი აზრით?

– რატომ და ბიძინა ივანიშვილის მთელი ამოცანა პროპაგანდის არის, მოახდინოს დემონიზება პოლიტიკისა და პოლიტიკოსების, რადგან მერე ბაზარზე იაფად იყიდოს ხმა. თავის პოლიტიკოსებსაც აფუჭებს. ოპოზიცია არ ვარგაო, არადა, ბოლო არჩევნებში მილიონ ასიათასი ხმა აიღო ჯამში. რომ ამბობენ, „გრეჩიხას“ დროს ოპოზიცია მაგარი იყოო, 600 000 ხმა აიღეს მაშინ. ახლა ორჯერ მეტს იღებს ოპოზიცია, უბრალოდ, კანონმდებლობაა ისეთი, რომ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს ოპოზიცია, რადგან მაჟორიტარების ხარჯზე იგებს ხელისუფლება.

– რადგან არჩევნების შედეგები ახსენეთ, აქვე შეგახსენებთ ექსპერტთა ნაწილისა და სახელისუფლებო ნარატივს, რომ გიორგი ვაშაძის რეიტინგი თბილისის მერობის არჩევნებში გაიზომა, როცა გიორგი ვაშაძემ ძალიან დაბალი შედეგი აიღო...

– არ მონაწილეობდა სტრატეგია აღმაშენებელი ამ არჩევნებში.

– პარტიაზე კი არა, გიორგი ვაშაძეზე გესაუბრებით... როცა მერობის კანდიდატად მონაწილეობდა თბილისის არჩევნებში...

– როდის, უკრაინიდან რომ ჩაატარა კამპანია ისე, რომ არ ჩამოსულა? კაცი მუშაობდა უკრაინაში, ატარებდა რეფორმებს. ორჯერ იყო ჩამოსული, პრეზენტაციაზე და არჩევნების დღეს და რა ხმა უნდა აეღო?! პერსონალური რეიტინგი გავზომოთ, ხომ ტარდება კვლევები? თვითონაც ატარებს „ქართული ოცნება“. ბიძინა ივანიშვილზე დიდი პოზიტიური რეიტინგი აქვს გიორგი ვაშაძეს და გიორგი ვაშაძის რეიტინგი არ ვარგა და „ქართული ოცნების“ ვარგა?

– გასაგებია. როდის ფორმირდება ეს გაერთიანება?

– კვირის ბოლოს გვექნება ზუსტი სურათი, რა ფორმატია. ჩვენ ვაკეთებთ ყველა თაობის პატრიოტი, პროფესიონალი ადამიანების პლატფორმას.

დაიხურა თუ არა ნატო-ს კარი საქართველოსთვის

„მთავარი დემოკრატიის განვითარებაა“ – აკია ბარბაქაძის შეფასებები და პროგნოზები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

2023 წლის ვილნიუსის სამიტზე გადაწყდა, რომ ნატო-ში შვედეთი გაწევრიანდება. უკრაინას დაჰპირდნენ, რომ გაწევრიანებას გაუმარტივებენ, საქართველოსთვის კი ყველაფერი უცვლელად დარჩა. პროგნოზები გამართლდა – ნატო-ში გასაწევრიანებლად, უკრაინას აღარ დასჭირდება MAP-ი – სამოქმედო გეგმა, რომლის მიღებაც აუცილებელია წევრობის მსურველთათვის. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს, საქართველომაც და უკრაინამაც მიიღეს დაპირება, ნატო-ს წევრები გახდებოდნენ, მაგრამ ვერ მიიღეს MAP-ი.

11 ივლისს, სამხედრო ალიანსის გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება უკრაინას ნატო-ში გაწევრიანებას უმარტივებს. ამრიგად, კიევს „ორი ნაბიჯის ნაცვლად, ეყოფა ერთიც“.

გარდა ამისა, 12 ივლისიდან ამოქმედდება ნატო-უკრაინის საბჭო. იქ „შევხვდებით, როგორც თანასწორები“, – თქვა ალიანსის მეთაურმა.

ვილნიუსში გამართულ სამიტზე საქართველო წარდგენილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილით. ილია დარჩიაშვილმა „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის დასკვნით კომუნიკეში ერთად აღარ არიან ნახსენები, ვილნიუსის ნატო-ს სამიტზე საქართველომ „ახალი იმპულსი“ მიიღო.

„უკრაინა დღეს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშეა. ქვეყანა არის ომში და მას განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება ჩვენი პარტნიორების. სწორედ ეს იყო მიზეზი იმის, რომ ნატო-ს ალიანსის წევრი ქვეყნები განსაკუთრებულად უჭერენ უკრაინას მხარს დღეს ამ ყველაზე რთულ პირობებში და ეს არის ძალიან ძლიერი ბონუსი უკრაინისთვის იმისთვის, რომ ამ ქვეყანამ შეძლოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, საკუთარი თავის დაცვა და გაძლიერება. რაც შეეხება საქართველოს, ვისაუბრე, საქართველოსთვის ძალიან საინტერესო ჩანაწერია კომუნიკეში. ეს არის ახალი იმპულსი ჩვენი ურთიერთობებისა. საქართველო ძალიან ძლიერად არის მხარდაჭერილი პარტნიორების მხრიდან, როდესაც საკითხი ეხება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული ძალისხმევა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად მსოფლიო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. საქართველო გააძლიერებს ამ მიმართულებით ძალისხმევის გაწევას, იმისთვის, რომ ჩვენს ხელთ არსებულმა ყველა მექანიზმმა მოიტანოს კონკრეტული შედეგები, რომ ქვეყანამ გააგრძელოს პროგრესირებადი ინტეგრაცია ნატო-ს მიმართულებით“.

2023 წლის ნატოს სამიტზე „ვერსია“ ანალიტიკოს აკია ბარბაქაძეს ესაუბრა:

– არავის ჰქონდა ილუზია, რომ უკრაინას მიიღებდნენ ნატო-ში, თვით უკრაინელებსაც კი. ყველამ კარგად იცის, რომ სანამ არის ომი, ნატო-ში უკრაინას ვერ მიიღებენ ანუ მეომარი ქვეყანა ნატო-ში ვერ შედის. ამას აცხადებდა ზელენსკი, უკრაინის ექსპერტები და ა.შ. ნატო-ს სამიტი არის წარმატებული. რა თქმა უნდა, შეიძლება, ადამიანმა მოინდომოს უკეთესი. კარგის მტერი საერთოდ უკეთესია.

– რას გულისხმობთ?

– უკრაინამ მიიღო გარანტირებული მხარდაჭერა მთელი ომის განმავლობაში; შეუზღუდავი უზრუნველყოფა საომარი რესურსების. მას ორმხირვი ხელშეკრულებების გარანტია მისცეს ნატო-ს ქვეყნებმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გარანტირებულად უზრუნველყოფენ თავდაცვასა და უსაფრთხოებას. უკრაინამ მიიღო ფორმატი „ნატო – უკრაინა“, რის მიხედვითაც, უკრაინა რა წამსაც საჭიროდ ჩათვლის, მოიწვევს ნატო-ს თათბირს.

გარდა ამისა, უკრაინამ მიიღო დიდი შვიდეულის გარანტიები, სადაც ჩართულია იაპონიაც და მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების უზრუნველყოფაა გარანტირებული. მეტი რა უნდა მიიღოს უკრაინამ? მეტი რა უნდა გააკეთოს ნატო-მ? უკრაინამ მიიღო ის, რაც აქვს ისრაელს, სამხრეთ კორეას და იაპონიას აშშ-სგან. უკრაინამ ეს მიიღო არა მარტო აშშ-სგან, არამედ, ნატო-ს მინიმუმ 10 ქვეყნისგან, რაც ნიშნავს, რომ ამ ომში უკრაინა მარტო არ არის. უკრაინამ მიიღო საგზაო რუკის გარეშე უფლება, რომ გახდეს ნატო-ს წევრი, რაც ნიშნავს იმას, რომ უკრაინას შეეძლება დაჩქარებული ინტეგრაცია ნატო-ში.

გარდა ამისა, დავინახეთ ახალი სიმპტომი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ აწყობს ჩვენს ხელისუფლებას და ისინი ცდილობენ, ეს თემა გადაფარონ კრიტიკით – ნატო-მ არ მიიღო უკრაინა.

უკრაინას მიეცა სამი თემა – უპირობო განვითარება დემოკრატიის; კორუფციის დამარცხება და სახელმწიფო სტრუქტურების რუსული აგენტურისგან გათავისუფლება. ეს აფრთხობს ჩვენს ხელისუფლებას. ფაქტობრივად, უკრაინა, რომელიც იცავს ნატო-ს ქვეყნების უსაფრთხოებას ანუ რუსეთის აგრესიას აკავებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იცავს საკუთარ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, მაგრამ პარალელურად ასრულებს ამოცანას, რასაც უნდა ასრულებდეს ნატო. ეს დიქტატორული ფაშიზმი, ავტოროტატული რეჟიმი, რომელიც ებრძვის დემოკრატიულ სამყაროს – ამ ფრონტის ხაზი გადის დღეს უკრაინაზე და მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა არის უპირობო ლიდერი და მთელი მსოფლიო აღიარებს უკრაინელი ერის თავგანწირვას, უკრაინას მოსთხოვეს ნამდვილი დემოკრატია, კორუფციასთან ბრძოლა და რუსული აგენტურისგან განთავისუფლება.

ეს არის სიმპტომი იმისა, რომ ვერც ერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრციდან, ვერ გახდება დემოკრატიული სამყაროს ნაწილი, თუ რეალური დემოკრატია არ იქნა ქვეყანაში, თუ არ გაიწმინდა კორუფციისგან და თუ არ გავათავისუფლეთ რუსული აგენტურისგან ჩვენი ქვეყანა. აი, ეს არის მოცემულობა, რომელიც აშინებს ამ ხელისუფლებას და რომელიც ცდილობდა, შანტაჟით ეთქვა ცივილიზებული სამყაროსთვის – თუ გინდათ, ეს ქვეყანა არ ჩავაბაროთ რუსეთს, ამიტომ მიგვიღეთ ისეთები, როგორებიც ვართო ანუ მიგვიღეთ კორუმპირებულები, კოლაბორანტები და რუსული ინტერესების გამტარებლები ევროპის სივრცესა და ნატო-შიო. ამას დაესვა წერტილი და უთხრეს, რომ მთავარი ის კი არ არის, როგორ გიყურებს ცივილიზებული სამყარო, არამედ მთავარია, აკმაყოფილებ თუ არა ამ სამ ძირითად პრინციპს, რომლითაც გამოირჩევიან დემოკრატიული ქვეყნები.

ცივილიზებულმა სამყარომ, ფაქტობრივად, თქვა, ჩვენ მივეცით ყველანაირი შანსი რუსეთს, რათა ინტეგრირებულიყო ცივილიზებულ სამყაროში და მივიღეთ უარესი – ავტორიტარული, იმპერიული, ფაშისტური რუსეთი, რომელიც ემუქრება დემოკრატიას, ყველა მეზობელს სპობს და არ ცნობს მსოფლიო წესრიგს.

ჩვენ ვხედავთ ომს ავტორიტარულ რეჟიმებსა და დემოკრატიულ სამყაროს შორის და ამ ომს იგებს დემოკრატიული სამყარო. რუსეთში არის მომჯდარი კლეპტოკრატია, ფეოდალურად გაბატონებული არისტოკრატია, რომელიც ძარცვავს საკუთარ მოსახლეობას. საქართველოში იქმნება ფეოდალური მმართველობის სტილი, სადაც ე.წ. კლანი ძარცვავს ჩვენს მოსახლეობას. თუ რუსეთი მდიდარია რესურსებით და ელიტა რესურსების ხარჯზე მდიდრდება, საქართველოში ამხელა რესურსები არ არის და ამიტომ იძარცვება მოსახლეობა და ამაში მონაწილეობს პოლიტიკური და ფინანსური ელიტა.

– სად ხედავთ გამოსავალს?

– რეალური დემოკრატიის აშენება; კორუფციისგან გათავისუფლება და კოლაბორაციონიზმის დასრულება. დღეს ვხედავთ კორუფციას ყველგან და ყველაფერში, რაც არის დამღუპველი.

– უნდა მეკითხა საქართველოს პერსპექტივაზე ნატო-ში ინტეგრაციაზე და თქვენი მოსაზრება უკვე გასაგებია... ფიქრობთ, იმიტომაც პაუზდება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის დაჩქარება, რომ ეს პრობლემებია ჩვენს ქვეყანაში?

– დიახ. ჩვენ არ ვაშენებთ დემოკრატიას და გვაქვს უკანსვლა.

– ოპტიმისტურად გეჩვენათ თუ არა მესიჯი, რომ ნატო-ს კარი საქართველოსთვის ისევ ღიაა?

– მათ აქვთ მთავარი პრინციპი, შენ თუ დააკმაყოფილებ ამას, შენთვის ყველა კარი ღიაა. ევროკავშირის 12 პუნქტიც მეტი არაფერია, თუ არა დემოკრატიის განვითარება და კორუფციის დამთავრება, თავისუფალი მედია და ა.შ. ეს ყველაფერი რეალური დემოკრატიის მშენებლობის ბერკეტია და რაც მთავარია, ხელისუფლების ცვლა. ეს პოლიტიკური კრიმინალური გუნდი, რომელიც არის მოქცეული ხელისუფლებაში ამ ყველაფერს სჩადის იმის გამო, რომ არ უნდათ ხელისუფლების დათმობა და ცოტა ხნის წინ ეს დაგვიანონსეს, რომ შემდეგი სამი არჩევნები არ აპირებენ ხელისუფლების დათმობას. ამას არ აპირებენ, რადგან არიან კორუმპირებულები და მათ იციან, რომ მტრის ინტერესების გამო ნორმალური ხელისუფლება, რომელიც მოვა, დასჯის დამნაშავეებს. მათ ეშინიათ პასუხისმგებლობის, ამიტომ იბრძოლებენ ბოლომდე და იკადრებენ უკადრებელს ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

– როგორც ჩანს, საქართველოს პერსპექტივა ნატო-ში გასაწევრიანებლად ჯერ კიდევ შორი და მიუწვდომელი გგონიათ...

– არ არის შორი და მიუწვდომელი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია დემოკრატიის მშენებლობა. თუ ჩვენ არ გავუშვით კოლაბორანტი ხელისუფლება ძალაუფლებიდან, რომელიც გასულია კონსტიტუციური ჩარჩოდან, მაშინ დავრჩებით ქვასროლია გამოქვაბულის ერად და ხალხად. თუ ასე არ მოვიქცევით, დავკარგავთ მომავალს, შვილებს ვკარგავთ, რადგან ისინი ამ ქვეყანაში ვერ ხედავენ პერსპექტივას.

დარმწუნებული ვარ, ქართველი ხალხი ამას ვერ მოითმენს. ყოველთვის ყოფილა ასეთი კრიტიკული მომენტები ისტორიაში და ჩვენს ერს მიუღია სწორი გადაწყვეტილება. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ჰიბრიდული ომისა, ქართველი ერი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და ისინი იტყვიან უარს კოლაბორაციონიზმზე.

რა ქონებას ფლობს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი

მაკა რუხაძე

გიორგი ვაშაძის დეკლარაცია

კოალიცია „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ნაციონალური მოძრაობა უკვე შედგა. მაშინ, როდესაც „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი, გიორგი ვაშაძე უცხოეთში შეხვედრებს მართავს, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები რეგიონებში ხვდებიან მოსახლეობას. მოკლედ, ყველაფერი ახალი რომ კარგად დავიწყებული ძველია, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ახლა, მთავარია, კოალიცია არჩევნებამდე, ან მთლად უარესი – პარლამენტში შესვლამდე არ დაიშალოს. ამის მომსწრენი არაერთხელ ვყოფილვართ და თან სწორედ, ამ პოლიტიკური აქტორების მონაწილეობით. მოკლედ, ვიდრე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი კობახიძე საზოგადოებას არწმუნებს, რომ ვაშაძე და ხაბეიშვილი „კოლექტიური ნაცმოძრაობაა“, გიორგი ვაშაძის ქონებრივ დეკლარაციას გადავხედოთ.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის კარიერა 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც გიორგი ვაშაძე ინტერპოლში, ინსპექტორად აიყვანეს. 2005 წელს, ვაშაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩუღურეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურს ხელმძღვანელობდა. მომდევნო წელს კი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა.

2006-2010 წლებში, ვაშაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარეობდა. ერთი ფანჯრის პრინციპზე დაფუძნებული, თანამედროვე და ინოვაციური იუსტიციის სახლების ერთგვარი ავტორი და სულისჩამდგმელი, სწორედ გიორგი ვაშაძე გახლავთ.

2012-2016 წლებში, გიორგი ვაშაძე საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკიდან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“. მოგვიანებით, ვაშაძე პარტიას ტოვებს და 2016 წლიდან, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი“ აფუძნებს.

როგორც პარლამენტის წევრმა, დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2022 წელს შეავსო. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ჰყავს მეუღლე – ქეთევან სიჭინავა და სამი მცირეწლოვანი შვილი – მიხეილი, დავითი და ანასტასია.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ქეთევან სიჭინავას მფლობელობაშია თბილისში მდებარე 100 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც 2007 წელს, საჩუქრად მიუღია. გარდა ამისა, სიჭინავა ფლობს თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე მდებარე 4 062 კვ.მ. კომერციული ფართის 70%-ს.

2014 წელს, გიორგი ვაშაძემ 5 000 აშშ დოლარად შეიძინა თბილისში, მცხეთის ქუჩაზე მდებარე 30 კვ.მ. ავტოფარეხი. გიორგი ვაშაძის მფლობელობაშია 103 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, მცხეთის ქუჩაზე, რომელიც 2014 წელს, პოლიტიკოსს 70 000 აშშ დოლარად უყიდია. ქეთევან სიჭინავა ფლობს მსუბუქ ავტომანქანა BMW X6-ს, რომელიც 2016 წელს, 100 000 აშშ დოლარად უყიდია.

გიორგი ვაშაძე კრიპტოვალუტით სერიოზულადაა დაინტერესებული. დეპუტატმა Bitcoin 18 000 აშშ დოლარად, 57 ნომინალი შეიძინა. გიორგი ვაშაძე ფლობს 315 Etherium-საც – კრიპტოვალუტა 5 000 დოლარად, 2016 წელს შეუძენია.

დეკლარაციის შევსების დროს, გიორგი ვაშაძეს თიბისი ბანკის სახელფასო ანგარიშზე ჰქონდა 3 446.86 ლარი, საქართველოს ბანკის ანაბარზე – 9 202.05 დოლარი, საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე – 864 დოლარი, თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე – 5 079.62 ლარი, 77.62 დოლარი. თიბისი ბანკის შემნახველ ანგარიშზე – 62.71 დოლარი, ხოლო ანაბარზე – 32 783.56 ლარი.

ქეთევან სიჭინავას თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე ჰქონდა 43.42 დოლარი, ანაბარზე – 8 227 ლარი, 6 030 ევრო და 200 000 დოლარი. თიბისი ბანკის სახელფასო ანგარიშზე – 122.18 ლარი, მიმდინარე ანგარიშზე – 1 402.76 ევრო, ანაბარზე – 5 628 ლარი. მასვე. თიბისი ბანკის შემნახველ ანგარიშზე – 50.85 ლარი, 2 202.61 დოლარი, 15 102.74 ევრო, საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე – 6 244.08 ლარი, ანაბარზე – 14 114.9 ლარი და 21 181.13 ევრო ჰქონდა.

დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ დანაზოგის სახით, გიორგი ვაშაძეს აქვს 14 000 ლარი და 6 000 აშშ დოლარი, ხოლო ქეთევან სიჭინავას – 5 000 აშშ დოლარი. საქართველოს პარლამენტის აპარატისა და პარლამენტის წევრობის სარგო – 49 894.12 ლარი მიიღო, ინოვაციებისა და განვითარების ფონდში ექსპერტის თანამდებობაზე – 15 000 ლარი.

ქეთევან სიჭინავამ, რომელიც ინოვაციებისა და განვითარების ფონდის დირექტორია, ხელფასის სახით მიიღო 38 500 ლარი. ის ფონდის „ლიბერალური კვალი“ დირექტორია, სადაც ხელფასის სახით, ერთ კალენდარულ წელში 15 000 ლარი დაერიცხა. ქეთევან სიჭინავა ქართული უნივერსიტეტის ლექტორია, საიდანაც სარგოს სახით 12 500 ლარი მიიღო. გიორგი ვაშაძეს საარჩევნო ფონდში გასავალის სახით 30 000 ლარი აქვს დაფიქსირებული.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკს ესტუმრა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკს ესტუმრა და ბანაკში მყოფ ახალგაზრდებთან ,,ემეგობრე პოლიციას" კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაში მონაწილეობა ასევე მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელმა პირებმა.

შეხვედრის მიზანს მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

სტუმრებმა 300-მდე ახალგაზრდას ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინების და მისი ზიანის, ძალადობის, ბულინგის, კიბერჰიგიენის, სამართალდამცავ უწყებასთან დროული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და დანაშაულის პრევენციის შესახებ.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საგზაო მოძრაობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ახალგაზრდული ბანაკი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს. საბანაკე პროგრამა შვიდდღიანია. ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელ, რეკრეაციულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში.

რა დარღვევები გამოვლინდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა – არამიზნობრივად გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებას ეხება. შესაბამისობის აუდიტი 2020-2021 წლების პერიოდს მოიცავს და როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი რიგი დარღვევები გამოვლინდა. თუმცა, გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტორებმა გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავეს.

დარღვევები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ გამსახურდიას თეატრის, თეატრ „თეთრი ტალღის“, ანსამბლ „აფხაზეთისა“ და საგუნდო კაპელას თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, უმეტეს შემთხვევაში, განსაზღვრული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ და ბევრად ნაკლები იყო საქართველოში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასზე.

„კულტურის სააგენტოში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულები იყვნენ მწვრთნელები, რომელთა ნაწილი ფედერაციებში, ხოლო ნაწილი – კლუბებში მოღვაწეობდა. ხელშეკრულებით დასაქმებული მწვრთნელების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 113 000 ლარი. როგორც დადგინდა, იმ დროს, როდესაც არსებობდა სპორტსმენთა უფასოდ წვრთნა-მომზადების შესაძლებლობა, სააგენტომ ამ მომსახურებაში გადაიხადა საბიუჯეტო სახსრები. ასევე, სააგენტო შრომის ანაზღაურებას უხდიდა კომერციული მიზნით შექმნილი კონკრეტული კლუბების მწვრთნელებსაც, არადა, ამ კლუბების გარდა, არსებობს აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სხვა მრავალი სპორტული კლუბი“, – ვკუთხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სპორტსმენთა საწვრთნელი მომსახურების ალტერნატივების განხილვა-შეფასების არარსებობის, დასაქმებულ მწვრთნელთა შერჩევის დაუსაბუთებლობისა და არასათანადო კონტროლის შედეგად, შეიქმნა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკები.

კულტურის სააგენტომ გამოსცა ჟურნალი „რიწა“ და საყმაწვილო-საბავშვო ჟურნალი „იალქანი“. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ამ ჟურნალების გამოცემა, შინაარსის მიხედვით, წარმოადგენდა სუბსიდირების პროგრამას, თუმცა ჟურნალების გამოცემის მიზნით, პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპით არ იყო შექმნილი შესაბამისი პროგრამა და მათი გამოცემა ფინანსდებოდა სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან.

არადა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, შინაარსის მიხედვით, ეს უკანასკნელი მიეკუთვნება მართვისა და რეგულირების სახის პროგრამას. გარდა ამისა, ჟურნალებისათვის არ იყო დადგენილი სარედაქციო პოლიტიკა და არ იყო დანერგილი მიმდინარე პროცესების ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რამაც წარმოქმნა 147 065 ლარის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

ხარვეზები ადმინისტრაციულ ხარჯებში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხული სამორიგეო ავტომანქანისთვის, ხელმძღვანელის ბრძანებით, განსაზღვრული იყო საწვავის მოხმარების წლიური ლიმიტი, თუმცა გამოვლინდა ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევები, რადგან მივლინების ფარგლებში, სამსახურებრივი ავტომობილის გამოყოფის შემთხვევაში, ბრძანებაში არ იყო მითითებული მივლინებისთვის დამატებითი რაოდენობით საწვავის გამოყოფა.

„2020–2021 წლებში დადგენილი წესით, გამსახურდიას თეატრში ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პირის ბრძანებებით, საინვენტარიზაციო კომისიის წევრები იყვნენ თეატრის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები. გამსახურდიას თეატრის სარგებლობაში არსებული საკონცერტო დარბაზი გამოიყენებოდა ძალიან მცირე დატვირთვით და უმეტესი პერიოდი თავისუფალი იყო, ხოლო სალაროს მოსაწყობად გადმოცემული ფართი, სარგებლობის ოთხი წლის განმავლობაში, თეატრმა დასახული მიზნის მისაღწევად ვერ გამოიყენა. შესაბამისად, უძრავი ქონების არარაციონალურად გამოყენებით, თეატრმა დაკარგა შემოსავლები“.

სახელმწიფო მაკონტროლებლებმა ისიც გაარკვიეს, რომ ანსამბლ „აფხაზეთის“ სარგებლობაში არსებული ფართი წარმოადგენს სავარჯიშო დარბაზს და განკუთვნილია ანსამბლის მოცეკვავეთა სარეპეტიციოდ. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე სათანადოდ არ ხორციელდებოდა დარბაზის გამოყენების კონტროლი. გარდა ამისა, ანსამბლ „აფხაზეთის“ სარეპეტიციო დარბაზში, ანსამბლის პედაგოგი ამეცადინებდა ბავშვებს და ამ მომსახურებისთვის არადევნილი ბავშვების მშობლებისაგან იღებდა შესაბამის ანაზღაურებას. ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა კანონმდებლობის დარღვევით, აღნიშნულ პედაგოგს დართო ნება, რომ ანსამბლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება პირადი სამეწარმეო მიზნებისათვის გამოეყენებინა.

„თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მე-7 გვერდიდან

ფართს, რომელიც სააგენტოს სარგებლობაშია, სარეპეტიციოდ, ინვენტარის შესანახად და საოფისედ იყენებდა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“, რომელიც ფუნქციონირებდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ამავდროულად, სააგენტო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გასცემდა შრომის ანაზღაურებას ამ ანსამბლის ხელმძღვანელსა და პედაგოგებზე, ხოლო კონტროლის მექანიზმი არ იყო დანერგილი.

გარდა ამისა, სააგენტოს სარგებლობაში არსებული კიდევ ერთი ფართი თბილისში, კერძოდ, უზნაძის ქუჩაზე, წარმოადგენდა ღონისძიებებისა და გამოფენების გასამართად მოწყობილ არტ-გალერეას, თუმცა აუდიტის პერიოდში, ამ ფართს მხოლოდ სააგენტო და აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურები იყენებდნენ. სააგენტოს არ განუხორციელებია შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული ფართის იჯარით გასაცემად, რის გამოც ვერ მიიღო შემოსავლები“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სააგენტოს სარგებლობაში არსებულ 8.1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, დონორების დაფინანსებით უნდა აშენებულიყო სპორტ-კომპლექსი, ამ მიზნის მისაღწევად, კულტურის სააგენტოს შესაბამისი პროექტი არ შეუმუშავებია და არც დაფინანსების გამცემი დონორი მოუძებნია.

დარღვევები საკუთარ შემოსავლებში

აუდიტის პერიოდში, განათლების სამინისტროს სსიპ-ები, გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, იღებდნენ საკუთარ შემოსავლებსაც კონცერტებისა და სპექტაკლების ბილეთებისა, თუ აბონემენტების რეალიზაციით, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების და უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული თანხებით.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ-ების მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, არ იყო შემუშავებული შესაბამისი წესი. ამასთან, სსიპ-ების სარგებლობაში იყო უძრავი ქონება, რომელიც არ იყო დატვირთული სრულად და შესაძლებელი იყო მოსარგებლის მიერ, მათი იჯარით, ან კანონით დაშვებული სხვა სფორმით გაცემა. მიუხედავად ამისა, შემოსავლების მიღების მიზნით, მათ აღნიშნული საბიუჯეტო რესურსი არ გამოუყენებიათ.

„კულტურის სააგენტოს მიერ, აუდირებულ პერიოდში, ხორციელდებოდა პროექტები, რომლებიც მტკიცდებოდა სააგენტოს დირექტორის ბრძანებით. მიუხედავად იმისა, რომ პროექტების სახით დაფინანსების განხორციელებას მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს და პროექტების მიზნების გათვალისწინებით აღნიშნული პროექტები წარმოადგენდა სუბსიდირების შინაარსის პროგრამებს/ქვეპროგრამებს, სააგენტოში 2021 წლის აპრილამდე, არ იყო შექმნილი შესაბამისი პროგრამები/ქვეპროგრამები და პროექტების ხარჯების დაფინანსება ხორციელდება სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან, რომელიც შინაარსით წარმოადგენს მართვისა და რეგულირების სახის პროგრამას. კულტურის სააგენტოს 2021 წლის ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგები, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ზოგადი და არაგაზომვადი იყო; ასევე, სათანადოდ არ იყო გაწერილი მოსალოდნელი შედეგების მიღწევის შეფასების ინდიკატორები, მათ შორის, ხარისხობრივი ინდიკატორები“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ქვეპროგრამების დაგეგმვის პროცესში, პოტენციური ბენეფიციარებისა და მათი მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შესწავლილი იყო არასათანადოდ. გარდა ამისა, ვერ გაითვალისწინეს ისეთი რისკები, რომლებიც ქვეპროგრამის დაგეგმვა-დამტკიცების ეტაპზეც ცნობილი უნდა ყოფილიყო პროგრამის განმახორციელებლებისთვის.

ხარვეზები ორგანიზაციულ საქმიანობაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დებულებებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, ორგანიზაციების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობა მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა რიგი მიზნების მისაღწევად, არ იყო ჩატარებული საკმარისი ღონისძიებები. სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, გამსახურდიას თეატრისა და თეატრ „თეთრი ტალღის“ მიერ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო მონაცემებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თეატრების ხელმძღვანელობამ, მათთვის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად შესრულების მიზნით, არასაკმარისი ღონისძიებები გაატარა. მეტიც, კულტურის სააგენტოსა და განათლების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მხრიდან, დუბლირების შემთხვევებიც დაფიქსირდა.

„სსიპ-ების გარემოს შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციების კონტროლის გარემო გამოირჩეოდა ნაკლოვანებებით და მხოლოდ პრაქტიკაში დამკვიდრებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფდა შეცდომებისა და უზუსტობების ეფექტიანად თავიდან აცილებას/პრევენციას ან გამოვლენასა და გასწორებას. კონტროლის პროცედურების ფორმალური ინსტრუქციების (სახელმძღვანელო, კოდექსი, წესი) არარსებობა მიუთითებს ორგანიზაციების საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ და საჯარო რესურსების არაეფექტიანად მართვის რისკებზე“, – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა

რეკომენდაციები

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, გამოვლენილი დარღვევების გამოსწორების მიზნით, სახელმწიფო აუდიტორებმა კულტურის სააგენტოსა და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავეს.

„ჟურნალებისთვის – „იალქანი“ და „რიწა“, დამტკიცდეს შესაბამისი სარედაქციო პოლიტიკა, სადაც გაიწერება თემატიკა, გამოსაქვეყნებელი ნაშრომების სახეობები, ნაშრომების/სტატიების შერჩევის წესი, ნაშრომებისთვის დადგენილი მოთხოვნები და კონკრეტული კრიტერიუმები; ასევე, ნათლად და მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ჯგუფები და ჟურნალების გამოცემით მისაღები, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნები.

განხორციელდეს პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის მოთხოვნების დაცვით დაგეგმვა და მათი შინაარსი (მათ შორის, კრიტერიუმები) დამტკიცდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციარებისთვის გამჭვირვალე და სამართლიანი გარემო. პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის განისაზღვროს სასარგებლო, შედეგზე ორიენტირებული, ნათელი, გაზომვადი, მიღწევადი და შედარებითი შეფასების ინდიკატორები, ხოლო პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში შექმნილი კომისიისთვის, შესაბამისი საქმიანობის წესით, განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები ან/და მიდგომები, რომელთა საფუძველზე კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს; დადგენილი მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის უზრუნველსაყოფად დაინერგოს სათანადო კონტროლი“.

რაც შეეხება რეკომენდაციების ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის, სახელმწიფო აუდიტორები მიიჩნევენ, რომ უნდა დაიგეგმოს უძრავი ქონების განკარგვა იმგვარად, რომ საბიუჯეტო რესურსები სრულად, ეფექტიანად გამოიყენონ და პოტენციური შემოსავლებიც მიიღონ.

„უნდა შემუშავდეს და დაინერგოს კონცერტებისა და სპექტაკლების გასაყიდი ბილეთების, აბონემენტების, ასევე ღონისძიების ერთჯერადად ჩატარების ღირებულების განსაზღვრის წესი, სადაც გაიწერება, როგორც კონკურენტების მიერ ბაზრისთვის შეთავაზებული ფასების შესწავლის მეთოდი, ასევე, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფსა თუ ორგანიზაციაზე სავარაუდო ფასების დიაპაზონი.

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საქმიანობის დაგეგმვა განხორციელდეს დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმით იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული საქმიანობის შემზღუდველი სავარაუდო რისკები. გაუთვალისწინებელი მოვლენების დადგომის შემთხვევაში, ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს წლიური გეგმის კორექტირება მიმდინარე გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანას“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, აუცილებელია, რომ მიმდინარე პროცესებში არსებული რისკების შემცირების მიზნით, შემუშავდეს ისეთი კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფენ ეფექტიან კონტროლს და ხელს შეუწყობენ საჯარო რესურსების კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, არამიზანშეწონილად ხარჯვისა და არაეფექტიანად მართვის დროულ გამოვლენასა და პრევენციას.

სამართალი

№26 19 ივლისი 2023 წ

რატომ არ ხდება ქართველი „კანონიერი ქურდების“ ევროპიდან ექსტრადირება

როგორ აწერს „წვრილფეხობა“ ფულს მცირე მეწარმეებს

ბათო ჯაფარიძე

წინა კვირას, სამართალდამცავებმა ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი 13 პირი დააკავეს. სპეცოპერაცია ერთდროულად რამდენიმე ქალაქში ჩატარდა და ეჭვმიტანილებიც, ასევე, ერთდროულად აიყვანეს. შს სამინისტროში ბრიფინგიც გაიმართა, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ კრიმინალის წინააღდეგ ბრძოლა მიმდინარეობს და სამართალდამცავები არ აპირებენ, ვინმეს თავზე ხელი გადაუსვან. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუმცა...

ბოლო დროს ასე დამკვიდრდა – მასშტაბური სპეცოპერაციები ან ნარკოდილერების („ბარიგების“) დასაკავებლად ტარდება, ან ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი პირების, ასე ვთქვათ, „კაი ბიჭების“. არის თუ არა ეს შემთხვევითი? რა თქმა უნდა, არა, რადგან რეალურად, ორივე მხარე მოშვებულია... საკანონმდებლო დონეზე. შესაძლოა, ამ ვერსიაში ბევრი შეგვედაოს, მაგრამ შევეცდებით, ყველაფერი თანმიმდევრულად აგიხსნათ. ნარკოტიკებითა და მათი გამსაღებლებით დავიწყოთ.

სამწუხაროდ, სწორედ კანონის შერბილების შემდეგ გახშირდა ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი. ბავრმა კი იცის, რომ მარიხუანას მოხმარებისთვის არავინ დაიჭერს და არასრულწლოვნებში მისი მოხმარების მაჩვენებელი გაიზარდა. გაიზარდა ამ მცენარის მოყვანის მასშტაბებიც და სოფლებში არაერთ და ორ ადამიანს აქვს დათესილი სახლსა თუ ეზოში. შესაბამისად, როცა მოხმარების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში დიდია, ეს ნოყიერი ნიადაგია ნარკოტიკების გამსაღებლებისთვის. რატომ? იმიტომ, რომ არასრულწლოვნები ფულს... მარტივად შოულობენ. სთხოვენ მშობლებს, უფროს დედმამიშვილებს, ბებია-ბაბუებს და სთხოვენ უმნიშვნლო თანხებს. უფრო „გამოცდილები“ ქურდობენ, ამტვრევენ მაღაზიის ვიტრინებს, მიაქვთ ყველაფერი, რასაც კი მოიხელთებენ და ისიც იციან, რომ ამის გამო არავინ დასჯით – 14 წლამდე მიუღწეველნი არიან და რაც მთავარია, ნაალაფარის გაყიდვის შედეგად აღებული ფული, ძირითადად, ნარკოტიკებში მიდის. სწორედ „მსუბუქ ნარკოტიკად“ მონათლული მარიხუანას მოხმარების შედეგად გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელთა და გამსაღებელთა რიცხვი. თანაც, დაკავებულ ნარკოდილერთა შორის, ძირითადად, უცხოელები ჭარბობენ და მათი აბსოლუტური უმრავლესობა აზიურ ქვეყნებზე მოდის ანუ იმ სახელმწიფოებზე, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობა სიკვდილით ისჯება, საქართველოში კი სასიკვდილო განაჩენის შიში არ აქვთ.

კიდევ ერთი, მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც უცხოელები ჩვენთან წამლის გაყიდვას რისკავენ, ექსტრადაციის იმედია. ისინი თავის ქვეყანაში დიდ თანხას იხდიან, რათა მათი ექსტრადაცია მოითხოვონ და თუ ეს არ ხდება პირველივე წელს, ორი-სამი წლის შემდეგ, ექსტრადაცია სავსებით შესაძლებელია, სამშობლოში კი თავისუფლება ერთ ნაბიჯშია იმიტომ, რომ იქ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ, ფული კი ჯოჯოხეთს ყველა სახელმწიფოში ერთნაირად ანათებს. ჰოდა, საქართველოში დაკავებული და ოცწელმისჯილი ნარკოდილერები თავისუფლებაზე სამ-ხუთ წელიწადში გადიან. ეს არის ერთ-ერთი, მთავარი მიზეზი, რომ საქართველოში ნარკოდანაშაულმა ძალიან მოიმატა და ფონიჭალაში ჩატარებული სპეცოპერაციების გარდა, სამართალდამცავები არც აეროპორტებში, პორტებსა თუ სახმელეთო საზღვარზე არსებულ საბაჟოებზე უჩივიან ნარკოდილერთა დაკავების სტატისტიკას.

ცუდი ისიც გახლავთ, არცერთ ნარკოდილერს (ამ შემთხვევაში, ეროვნებასა და მოქალაქეობას არ აქვს მნიშვნელობა) შინაგანად არ სჯერა, რომ მისჯილი წლების სრულად მოხდა მოუწევს ანუ ისინი დარწმუნებულნი არიან, 20-25 წელი მათ ციხეში არავინ გააჩერებს და ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, როცა მათი არსებობა ბევრს დაავიწყდება, კარგი ქცევისთვის, ან კიდევ სხვა რამისთვის (მოდით, აქ ნუ დავკონკრეტდებით), დარჩენილ წლებს აპატიებენ, პირობითში გადაუყვანენ, ვიღაცამ შეიძლება, პრეზიდენტის შეწყალებასაც გამოჰკრას ხელი. ზურაბიშვილის პრეზიდენტობის დროს, ამ მიმართულებით სერიოზული კონტროლია, მაგრამ გვახსოვს, რა ამბები ტყდებოდა ხოლმე მაშინ, როცა გიორგი მარგველაშვილი გამოამზეურებდა შეწყალებულების სიას, მანამდე კიდევ, მიხეილ სააკაშვილი იწყალებდა ყველას, ვისაც მისი გარემოცვა ეტყოდა. განსაკუთრებით პრეზიდენტობის ბოლო თვეებში, სააკაშვილმა რამდენიმე ასეული პატიმარი შეიწყალა, მათ შორის, არაერთი იყო უმძიმესი დანაშაულისთვის გასამართლებული და რამდენიმე ათეული „ბარიგა“.

რაც შეეხება „კაი ბიჭების“ კასტას. სამწუხაროდ, კრიმინალური სამყარო რომანტიზმთან კვლავ ასოცირდება. იყო პერიოდი, როცა „კანონიერი ქურდი“ იმდენად პატივსაცემი პიროვნება იყო, რომ მას აეროპორტში მინისტრები ხვდებოდნენ, ესკორტით აცილებდნენ, დიპლომატიური გასასვლელიდან გაჰყავდათ-ჩამოჰყავდათ და მაშინ თავში ჩაბეჭდილი ფორმულა, რომ „კანონიერი ქურდობა“ კარგია, დღემდე არ გამქრალა. ჰოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდების გარკვეული კატეგორია ისევ ფიქრობს და ოცნებობს იმაზე, რომ „კანონიერი ქურდი“ გახდეს, საამისოდ კი რამდენიმე ეტაპია გასავლელი. ჩანაწერში, რომელიც ბოლო სპეცოპერაციის შემდეგ გავრცელდა, ერთ-ერთი ამბობს, მომავალი ქურდიაო, მეორე კი პასუხობს, მომავალი მე პიანისტი და ექიმი ვიცი, ქურდი კიდევ ან არის, ან არაო. არადა, რეალურად, ტერმინი „მომავალი“, უახლოეს წარსულში, კრიმინალურ წრეებში ძალიან დამკვიდრებული გახლდათ და მას გამოიყენებდნენ იმ „კაი ბიჭის“ მიმართ, ვისზეც უკვე იცოდნენ, რომ დღე-დღეზე (ან თვე-თვეზე), ქურდი გახდებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, არც ეს მოსწონთ, რადგან „კანონიერი ქურდობისკენ“ სავალ გზაზე, ბევრი „მომავალი“ და „პუტიოვი“ მოცურებულა. ზოგადად, „ქურდული კარაბადინი“ დროის გასვლასთან ერთად იცვლება და მას თავად „კანონიერი ქურდები“ ცვლიან. მაგალითისთვის, თავის დროზე, ქურდებს უფლება არ ჰქონდათ, ჰყოლოდათ ოჯახები, ჰქონოდათ სახლი, ბევრი ფული. მათი ოჯახი ქურდული სამყარო იყო, მისამართი – საბჭოთა კავშირი, ქონება – ის, რაც ზედ ეცვათ. ახლა კი, „კანონიერი ქურდები“ ესკორტით გადაადგილდებიან, ჰყავთ პირადი დაცვა, აქვთ უზარმაზარი ბიზნესი, ჰყავთ ოჯახები და დაცვით მათი ოჯახის წევრებიც დადიან. ვიღაცამ რომ მოინდომოს და ამის გამო „კანონიერ ქურდებს“ ქურდულად პასუხი მოსთხოვოს, უბრალოდ, გააქრობენ, რადგან ახლა ყველაზე გავლენიანი კრიმინალები ცხოვრობენ ასე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ეს „მოსულა“.

არც ის არის გასაკვირი, რომ სპეცოპერაცია ყველაზე ხშირად დედაქალაქში, ქუთაისში, სვანეთსა და სამეგრელოში ტარდება. სწორედ ამ ქალაქებისა და რეგიონების წარმომადგენლები არიან ყველაზე მეტად „სტატუსის“ ქვეშ და ნაცნობობაც სწორედ იქ ჰყავთ. რამდენიც უნდა ამტკიცოს წინა ხელისუფლებამ, ჩვენს დროს სხვანაირად იყოო, არაფერი ყოფილა სხვანაირად. ნაციონალების დროსაც და ახლაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „მაყურებლის“ დანიშვნა-არჩევა, საზღვარგარეთ მყოფი რომელიმე „კანონიერი ქურდის“ დასტურის შემდეგ უნდა მოხდეს. ამიტომ, სასჯელაღსრულების ადმინისტრაცია მაშინაც და ახლაც, პატიმრებს საზღვარგარეთ დარეკვის უფლებას აძლევდა და ქურდის გადაწყვეტილებას, რომელი ზონის „მაყურებელი“ ვინ უნდა ყოფილიყო, ტელეფონთან მდგარი „ბლატატა“ ისმენდა, თუმცა მთავარი პრობლემა არა „კრიმინალური რომანტიზმი“, არამედ ის არის, რომ ქართული მხარე ევროპიდან „კანონიერი ქურდების“ ექსტრადაციას ვერ ახერხებს. არ გეგონოთ, ამის მიზეზი შს სამინისტროს წარმომადგენელთა უნიათობა იყოს. არა!

საქმე ის გახლავთ, რომ „კანონიერ ქურდებს“ ქართული მხარე 223-ე პრიმა მუხლით ეძებს, სადაც ბრალის წაყენება „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირის გამო ხდება. ეს კანონი კი, საქართველოს გარდა, ჯერჯერობით, მხოლოდ რუსეთსა და უკრაინაშია. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს, უკრაინა ომშია და დარჩა ევროპა, საიდანაც „კანონიერ ქურდებს“, უბრალოდ, არ გვაძლევენ, რადგან მათი კანონმდებლობით, ასეთი ქმედება დასჯადი არ არის, უფრო ზუსტად კი, მათ ასეთი მუხლი არ აქვთ და ამიტომ, ნებისმიერმა „კანონიერმა ქურდმა“ რომ თქვას, არარსებული მუხლით მდევნიან, პოლიტიკური ამბავიაო, ნებისმიერ ევროპულ სასამართლოზე „თავის სიმართლეს“ გაიტანს. აი, იგივე მუხლი ევროპულ სამართალშიც რომ იყოს, მაშინ ექსტრადაცია ადვილად მოხდებოდა ანუ ქურდებმა კარგად იციან, რომ ვერ დაიჭერენ, საქართველოში ვერ ჩამოიყვანენ და ცდილობენ, აქ მაქსიმალური სარგებელი ნახონ. ქურდობის მოსურნე ახალგაზრდებს მარტივად ითანხმებენ წვრილი მეწარმეების შანტაჟზე და ისინიც „კანონიერი ქურდების“ დავალებას სიხარულით ასრულებენ, ეს ხომ ერთი ნაბიჯია ოცნების ასრულებამდე. შემდეგ, აქაურ წვრილფეხობას იჭერენ, ევროპაში მყოფი ქურდები დაუსჯელები არიან, ისინი სხვა მსხვერპლს ეძებენ და სამწუხაროდ, ძალიან მალე პოულობენ – ბევრს სურს, „კანონიერი ქურდების“ დავალება შეასრულოს, მცირე მეწარმეებს ფული „აახიოს“ და მერე ეს ფული ევროპაში „ობშჩიაკისთვის“ გაგზავნოს, მაგრამ სავარაუდოდ, შინაგანად მაინც ყველა ხვდება, რომ თანხა „ობშჩიაკში“ არ მიდის და მისი უდიდესი ნაწილი (თუ სრულად არა) „კანონიერ ქურდებს“ რჩებათ. მცირე მეწარმეებს იმიტომ ვამბობთ, რომ მსხვილი ბიზნესი თანხებს აღარ იწერს, მსხვილმა ბიზნესმა იცის, რომ ქურდულ გარჩევაში ჩართვა არ ღირს, საკმარისია, პოლიციაში მისვლა და განცხადების დაწერა. აი, მცირე მეწარმეების დაშინება კი მარტივად ხდება, მათ ოჯახის წევრების ჯანმრთელობით ემუქრებიან, ან ობიექტის დაწვით და მსხვილ ბიზნესმენს იმას ხომ არ ეტყვი, მაღაზიების ქსელს დაგიწვავ, ან მშენებლობას აგიფეთქებო?! ამიტომ, ანკესზე, ძირითადად, მცირე მეწარმეები ეგებიან და აბსოლუტურად ყველამ, გარჩევებისა და ნაცნობი ქურდების მოძებნის ნაცვლად, პირდაპირ პოლიციაში რომ დაწეროს განცხადება, ბევრად მარტივი იქნება ცხოვრებაც და ბიზნესის კეთებაც.

ვინ მოაწყო თბილისის ცენტრში ბუზების საიდუმლო ლაბორატორია

როგორ აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე სიდედრზე გაბრაზებული მამაკაცი

ბათო ჯაფარიძე

ბუზი და კოღო – ორი მწერი, რომელთა არსებობაც ადამიანებს მუდმივად აწუხებთ. ორივე მწერი განსაკუთრებით ზაფხულშია აუტანელი, როცა იკბინება, გაწუხებს... კბენის გარდა, ბუზი ჰიგიენური თვალსაზრისითაც საშინელია – არავინ იცის, სად და რაზე იჯდა მანამ, სანამ სახლში შემოფრინდებოდა და საკვებზე დაჯდებოდა. ისე, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ სისხლს მხოლოდ მდედრი კოღოები წოვენ, მამრები – არა და რატომღაც ისიც გვგონია, რომ ეს ამბავი ბევრ კაცს გაუხარდება და ნიშნისმოგებით იტყვის – კოღოც!.. რადგან მწერებზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ თაფლს მხოლოდ მდედრი ფუტკრები აკეთებენ, მამრებს კი, ჭამის გარდა, დედა ფუტკრის განაყოფიერება ევალებათ და იმის გათვალისწინებით, რომ დედა ფუტკარი სიცოცხლეში ერთხელ (მაქსიმუმ, ორჯერ) ნაყოფიერდება და შემდეგ 4-5 წლის განმავლობაში დებს კვერცხს, მამრი, პრაქტიკულად, მუქთახორაა. კიდევ გავიმეორებთ, ფუტკრებზე გვაქვს საუბარი, თუმცა ჩვენი ისტორიის მთავარი გმირები ბუზები იქნებიან.

„მილიციის განყოფილებაში ათას რამეზე მოსულა ხალხი, მაგრამ ბუზები გვაწუხებენო, ამ საჩივრით როცა მოვიდნენ, ლამის სიცილით გავიგუდეთ. აი, ბუზების თვლა და მათი დაჭერაღა გვაკლდა მილიციის თანამშრომლებს და ესეც გვეღირსა-თქო, კოლეგებს ვეუბნებოდით, მაგრამ როცა ქალმა სასოწარკვეთილი ტირილი დაიწყო და ტირილში თქვა, შვილი კინაღამ მომიკლესო, აღარ გამცინებია და სმენად ვიქეცი“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

„ბოლო დროს, ჩვენ კორპუსში ძალიან ბევრი ბუზია. არ ვიცი, საიდან მოდიან, მაგრამ მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. არც ფარდა შველის, არც – დამცავი ბადე, საკმარისია, ოდნავ გააღო კარი და ბუზების ჯარი სახლში მოფრინავს. ექვსი თვის შვილი მყავს, შესაბამისად, დღეში რამდენჯერმე ფაფას ვამზადებ, მეზობლების უმეტესობა მშრალ საკვებზეა გადასული, საჭმლის სუნზე ბუზები რომ არ მოვიდნენ. ვის არ ვთხოვე, როგორ არ ვთხოვე, სანეპიდსადგურიდანაც იყვნენ, თითქოს მოწამლეს ყველაფერი, მაგრამ არ გვეშველა – ბუზები ყოველდღიურად მრავლდებიან. სავარაუდოდ, ბუზი ჩაუძვრა ჩემს შვილს ყურში და კვერცხები დადო. სამი დღე არ უძინია ბავშვს, ტირილით სკდებოდა, ექიმებმაც ვერაფერი გაიგეს, სანამ ყურიდან მატლი არ გამოძვრა. ძლივს გადაარჩინეს, მაგრამ სავარაუდოდ, სმენის პრობლემა ექნება, რადგან ბუზის მატლებმა გარკვეული ნაწილი საკვებად გამოიყენეს. ყოველ შემთხვევაში, ექიმებმა ასე მითხრეს“, – მოთქვამდა ქალი.

რეალურად, ეს სამართალდამცავების საქმე არ იყო, მაგრამ უბნის რწმუნებული მაინც დაიბარეს და მანაც დაადასტურა, კონკრეტულად ეს კორპუსი შავ დღეშია, ბუზი ეხვევა, პირადად მე მოვიყვანე ორჯერ სანეპიდსადგურის ხალხი, ორჯერვე ზომაზე მეტი წამალი დაასხეს, მაგრამ მეორე დღეს, ბუზი მაინც ბევრი იყოო. გამომძიებელი კორპუსის სანახავად თავად წავიდა, სადარბაზოშიც შევიდა და მიხვდა, რომ საქმე იმაზე მძიმედ იყო, ვიდრე ჰყვებოდნენ. ბუზები ისხდნენ ყველგან და ყველაფერს, რაც მოძრაობდა, ჯგუფ-ჯგუფად ასხდებოდნენ. არ ჰქონდა აზრი მათ მოკვლას, რამდენი უნდა მოგეკლა? ასი? ათასი? ასი ათასი? ისინი იყვნენ ყველგან და მწვანედ შეღებილი სადარბაზოს კედლები გადაშავებული ჰქონდათ. კორპუსის ნახვის შემდეგ, გამომძიებელი სანეპიდსადგურში წავიდა და კატეგორიულად მოითხოვა, სადარბაზოები ჩემი თანდასწრებით შეწამლეთო. თანამშრომლებმაც შესაბამისი ფორმა მოირგეს, წამალი შეაზავეს და წავიდნენ. გამომძიებლის თვალწინ, წამლისგან დახოცილი ბუზები სადარბაზოს კიბეზე ცვიოდნენ, ერთ ავლაზე, ლამის ორი ტომარა ბუზი დახოცეს, მაგრამ რად გინდა, მეორე სადარბაზო დასრულებული არ ჰქონდათ, როცა პირველში, იგივე რაოდენობის ბუზი გაჩნდა. ისინი, თითქოს, ყველა მხრიდან მოდიოდნენ და კორპუსს იპყრობდნენ. არადა, სანეპიდსადგურის თანამშრომლები იფიცებოდნენ, სარდაფები ფეხდაფეხ დავიარეთ, ყველგან დავასხით წამალი, მაგრამ შედეგი მაინც ნულიაო. გამომძიებელიც ხვდებოდა, რომ საქმე სხვა რამეში იყო, წამალი ბუზებს კლავდა, მაგრამ საკმარისი იყო ნახევარი საათი და მათი რაოდენობა ისევ იგივე ხდებოდა.

„ბიოლოგებთან წავედი კონსულტაციის გასავლელად და მათ ამიხსნეს, რომ ბუზების გამრავლება ძალიან მარტივია, თუ მათ შესაბამის პირობებს შეუქმნი. ბუზი 15-დან 30 დღემდე ცხოვრობს, ამ ხნის განმავლობაში, ერთი მდედრი ბუზი რვა ათასამდე კვერცხს დებს და მათი გამოჩეკის შესაძლებლობა, კარგ პირობებში, ლამის ასი პროცენტია ანუ თუ არის ათი მდედრი ბუზი, ერთ თვეში, შესაძლოა, იყოს 80 ათასი, კიდევ ერთი თვის შემდეგ კი მილიონობით და შემდეგ მილიარდობით. ბუზს ყველა ცუდ თვისებასთან ერთად, გააჩნია რამდენიმე სასარგებლო თვისება. სწორედ ბუზის კვერცხები და იქიდან გამოჩეკილი მატლები ანადგურებენ ლეშს და სწორედ ისინი ანადგურებენ განავალს, იქნება ეს ცხოველის, თუ ფრინველის. ადამიანს არ სჭირდება ბუზების დიდი ოდენობა, თორემ ერთ კაცსაც კი შეუძლია, ბუზები იმ დონეზე გაამრავლოს, თუნდაც თბილისს შეუქმნას პრობლემა. კიდევ ერთი, საინტერესო თვისება – თუ კონკრეტულ ადგილზე ბუზი მარტივად მრავლდება, ახლადგამოჩეკილები იმ ადგილს არ შორდებიან, გენეტიკურად გადაეცემათ ეს ინსტიქტი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძიებელი მიხვდა, რომ ბუზებისთვის კორპუსში ან კორპუსთან ახლოს, საუკეთესო საინკუბაციო პირობები იყო შექმნილი, მაგრამ სად? არც ლეშის სუნი აწუხებდა მოსახლეობას, არც – განავლის, ბუზები კი გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებოდნენ. სანეპიდსადგურის თანამშრომლებიც ისე იყვნენ შეწუხებულნი და მონდომებულნი, ტყუილს არ იტყოდნენ, სარდაფს მართლა ნაბიჯ-ნაბიჯ დაათვალიერებდნენ, თუმცა ვერაფერი ნახეს. სარდაფი გასაგებია, მაგრამ სხვენი? ხომ შეიძლებოდა, სხვენში მომხდარიყო მოვლენათა ისეთი განვითარება, რაც ბუზების გამრავლებას ხელს შეუწყობდა. გამომძიებელმა გადაწყვიტა, სხვენი თავად მოენახულებინა, მაგრამ დაკეტილი დახვდა, გასაღები კი ერთ-ერთ ადგილობრივს ჰქონდა, რომელიც იმ დროს სახლში არ გახლდათ. ბატონმა თენგიზმა დაიბარა, ხვალ დილით მოვალ და გასაღები დამახვედროს, სხვენზე უნდა ავიდეო და განყოფილებაში დაბრუნდა.

მეორე დილით, გამომძიებელს გასაღები დაახვედრეს და ისიც სხვენზე ავიდა, თუმცა საინტერესო ვერაფერი ნახა და მალევე დაბრუნდა, მაგრამ ეზოში ჩამოსული, ჩაფიქრდა და ისევ სხვენზე დაბრუნდა, თან ადგილობრივებიდან ორი მამაკაცი იახლა და მშვიდად ჰკითხა – სხვენს ვინ ალაგებს, ასეთი იდეალური სისუფთავე რომ არისო და ორივემ მხრები აიჩეჩა, არც კი ვიცოდით, თუ ასეთი დასუფთავებული სხვენი გვქონდაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ ან ვიღაცებმა სხვენი სწორედ გამომძიებლის მისვლამდე დაალაგეს საგულდაგულოდ. სამართალდამცავი ჩაფიქრდა, შემდეგ ეზოდან გავიდა, ნახევარ საათში დაბრუნდა და მეზობლებს გასაღები დაუბრუნა, შემთხვევით გამყვაო.

„სინამდვილეში, გასაღების ასლი გავაკეთებინე. მაინტერესებდა, რა ხდებოდა სხვენში, რადგან წარმოუდგენელია, იქ იდეალური სისუფთავე ყოფილიყო, ელემენტარულად, მტვერიც კი საგულდაგულოდ გაწმენდილი გახლდათ. არ მგონია, ასეთი პატივი ჩემთვის დაედოთ, აქაოდა, გამომძიებელი მოდის და არ გაისვაროსო. ორი-სამი დღე დავიცადე, მერე კი, ოპერმუშაკებთან ერთად, სხვენზე ჩემი გასაღებით ავედი. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, იქ კუსტარულად აწყობილი ლაბორატორია დამხვდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სხვენზე შუშის ლაბორატორიული მილებით ერთგვარი ინკუბატორი იყო აწყობილი, სადაც ნახერხი და სავარაუდოდ, ხორცის ფარში ეყარა. ამ მილებში უამრავი ბუზი მოძრაობდა, მათ ეტყობოდათ, რომ კვერცხების დასადებად იყვნენ ჩასულნი, მილები ისე იყო დაწყობილი და გადაბმული, მათი გაშლის შემთხვევაში, ორას მეტრზე მეტი იქნებოდა. მილის ბოლო სახურავზე ადიოდა და ის აუტანელი სუნი, რომელიც იქიდან გამოდიოდა, ჰაერში იფანტებოდა. ჰაერში იფანტებოდნენ მილიდან გამოსული ბუზებიც და შესაბამისად, წარმოუდგენელი იყო იმის გარკვევა, საიდან მოდიოდნენ მწერები კორპუსში. მილი, პრაქტიკულაად, შავი იყო და როგორც ჩანს, ბუზებმა თავისი საქმე კარგად იცოდნენ. ახლა ის იყო საინტერესო, ვის და რაში დასჭირდა ბუზების გამრავლება და რა იყო ამის მიზეზი თუ მიზანი. გამომძიებელმა ის კაცი მოიკითხა, რომელიც სხვენის გასაღებს „ფლობდა“.

„თქვენ ამას ვერასდროს გაიგებთ. ჩემი სიმამრი გარდაიცვალა და სიდედრი სოფლიდან ორი-სამი დღით ჩამოვიყვანეთ, ცოლმა მითხრა, გულს გადააყოლებსო. ჩემი სიდედრი მონსტრია, ნამდვილი მონსტრი. მიკვირს, სიმამრმა ამდენხანს როგორ გაუძლო. ჰოდა, ჩემს სიდედრს ერთი სისუსტე აქვს, ბუზებს ვერ იტანს. მე შესაბამისი ცოდნა მაქვს, შესაბამის სამსახურშიც ვმუშაობ და იქიდან მოვიტანე ყველაფერი, რაც ბუზების გამრავლებისთვისაა საჭირო. სიდედრი ჯერ არ წასულა, მაგრამ ყოველდღიურად ამბობს, რომ სოფელში უნდა დაბრუნდეს, რადგან აქ ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს არის მიზეზი იმისა, რაც გავაკეთე“, – თავი დახარა დაკავებულმა.

როცა მეზობლებმა სიმართლე გაიგეს, მამაკაცის გასამართლება ლინჩის წესით გადაწყვიტეს. ყველაზე მეტს, რაღა თქმა უნდა, ჩვილის დედა ყვიროდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი მშვიდად დასრულდა, მამაკაცს ერთი წლით პირობითი მსჯავრი მისცეს და...

„მერე გავიგე, სიდედრი არსად წასულა და სახლიდან თავად მამაკაცი გაიქცა“, – სიცილით დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, შვილად აყვანა საქართველოში ბიუროკრატიული პროცედურების გამო, ძალიან გაჭიანურებულია. ოჯახები წლობით დგანან რიგში და ელოდებიან, როდის მიეცემათ შესაძლებლობა, პატარა შინ მიიყვანონ და გაზარდონ. როგორც აგვისხნეს, ეს იმიტომ ხდება, რომ შვილად აყვანის მსურველი ოჯახი კარგად უნდა შეისწავლონ, მოახერხებს თუ არა ბავშვის მოვლას და აღზრდას, აქვს შესაბამისი შემოსავალი თუ არა... ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ საკმარისია, რომელიმე ოჯახმა შშმ პირის შვილად აყვანა გადაწყვიტოს, პროცედურა ორ თვეში სრულდება და ბავშვს ატანენ. არადა, რატომღაც გვგგონია, რომ სწორედ შშმ ბავშვებზე უნდა იყოს ბევრად მეტი კონტროლი, რადგან მათ განსაკუთრებული მოვლა სჭირდებათ და თან, ასეთ შემთხვევაში, ოჯახი არა მარტო ფინანსურად, არამედ, მორალურად და ფსიქოლოგიურადაც უნდა იყოს მზად მომავალი ზრუნვისთვის. უდედმამო ბავშვთა რიცხვი კი, საქართველოში, სამწუხაროდ, ყოველწლიურად იზრდება.

კომუნისტების დროს, ეს პრობლემა ნაკლებად არსებობდა. ნაკლებად იმიტომ, რომ მაშინ ყველაზე ყველაფერი იცოდნენ, იცოდნენ, ვინ რით სუნთქვდა და ამიტომ, შვილად აყვანის მსურველს მალევე ეუბნებოდნენ ან თანხმობას, ან უარს. მაშინ არ იყო პრაქტიკა, შვილად აყვანილისთვის ეთქვათ, ნაშვილები ხარო და რომელიმე „კეთილისმყოფელი“ თუ წამოაძახებდა მოზარდს ამის შესახებ, თუმცა მაშინ ესეც კანონით ისჯებოდა და სისხლის სამართლით იდევნებოდა.

რატომ დაუტოვა ცნობილმა კრიმინალმა საკუთარი შვილი გასაზრდელად გავლენიან ძალოვანს

ემოციური ამბავი, რომლის შესახებაც თბილისში ბევრმა იცის

„ჩემმა მეგობრებმა ეს ისტორია იციან, იციან გარკვეულ წრეებშიც და არ ვიცი, სწორს ვაკეთებ თუ არა, როცა ვყვები, მაგრამ მგონია, რომ ჩემი მაგალითი სხვისთვის მისაბაძი თუ არა, კარგი გაკვეთილი იქნება. ცოლი ერთი წლის მოყვანილი მყავდა, ორსულად იყო, როცა სახლის კარზე, ასე, ორი კვირის გოგონა მოგვიგდეს. მაშინ ასე ერქვა... გოგონას საბუთი არ ჰქონდა, ჩვრებში იყო გახვეული და იქვე, ცელოფანში ლამაზი კაბა იდო. კაბა სულ ახალი გახლდათ, წინ დიდი, გვირილას ფორმის ღილები ჰქონდა, მაგრამ ორი ღილი აკლდა და გამიკვირდა კიდეც, ახალ კაბას ორი ღილი რატომ შეაწყვიტეს-მეთქი. სახლში ვიმსჯელეთ, მეუღლე ერთი თვის ორსული იყო და ამის მიუხედავად, გადავწყვიტეთ, გოგონა დაგვეტოვებინა. საბუთების გაკეთება და ამ პროცედურის მოგვარება, ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, არ გამჭირვებია, თანაც ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდი და ველოდი, რომ დღე-დღეზე, ახალ ბინას მომცემდნენ, იქ გადავიდოდი და ახალ მეზობლებსაც ნაკლებად დააინტერესებდათ, ეს ბავშვი ჩვენი იყო თუ არა. მით უმეტეს, ცოლი მალე მეორეს გააჩენდა და ეჭვი არავის გაუჩნდებოდა. ასე შემოვიდა ჩემს ოჯახში პატარა ანგელოზი, რომელიც შვილივით შეგვიყვარდა და როცა მეუღლემ იმშობიარა, ორივეს ერთნაირი სიყვარულით უვლიდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

შემდეგ იყო კდიევ ერთი ორსულობა, პოლკოვნიკს მესამე შვილი შეეძინა ანუ ორი საკუთარი, ერთიც კართან მოგდებული და როგორც ბატონი თენგიზი ამბობს, შინაგანად სჯეროდა, რომ ბავშვის მშობელი ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდა, რადგან დარწმუნებული გახლდათ, მან ზუსტად იცოდა, ვის და რატომ მიუგდო ბავშვი გასაზრდელად, მაგრამ დრო გადიოდა, გოგონას მშობლები არსად ჩანდნენ, ბავშვი კი იზრდებოდა და როცა სკოლა დაამთავრა, სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა. ხატვა ის იყო, რაც საოცრად გამოსდიოდა.

„ერთ საღამოს სამსახურიდან გამოვედი და წინ, დაახლოებით, ჩემი ასაკის მამაკაცი გადამიდგა. თითქოს მეცნო და არც მეცნო, გონებას წიხლი დავაჭირე და გავიხსენე – ცნობილი კრიმინალი, რეციდივისტი, რომელიც მე დავაკავე და დავაკავე ყალბი ფულის დამზადების გამო. ის ფულს კი არ ბეჭდავდა, თავისივე შექმნილი საღებავებით ხატავდა. ამას გარდა, ამზადებდა სხვადასხვა საბუთს, არ გვითხრა, სად შოულობდა შესაბამის ქაღალდს, მაგრამ მისი ნამუშევრების ნამდვილისგან გარჩევას სერიოზული ექსპერტიზა სჭრდებოდა. კი გამიკვირდა, რომ დავინახე, ისიც ვიფიქრე, შეიძლება, შურისძიება უნდა-მეთქი, მაგრამ ზაფხული იყო, მას მხოლოდ მაისური ეცვა და მივხვდი, იარაღი არ ჰქონდა, მე კი, სამსახურეობრივი იარაღი ბუდეში მედო და შესაბამისად, გამორიცხული გახლდათ, ჩემთვის ეჯობნა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„გამარჯობა, უფროსო. ორი კვირაა, რაც ციხიდან გამოვედი, ცოტა აზრზე რომ მოვსულიყავი, დრო ხომ მჭირდებოდა, ამიტომ ვერ გნახე უფრო ადრე. ბინა ვიქირავე, სამსახურს ვეძებ. მუზეუმში ვიყავი, ძველი ნახატების რესტავრაცია შემიძლია, ახლა საბუთებს ამზადებენ, რომ უფლება მომცენ, მუშაობა იქ დავიწყო. დარწმუნებული ვარ, თანხმობას მეტყვიან ანუ სამსახურიც მექნება, ოფიციალური სამსახური“, -ღიმილით დაიწყო ყოფილმა მსჯავრდადებულმა და როცა გამომძიებელს სახეზე გაოცება შეატყო, განაგრძო – „ჰო, შენ რომ დამიჭირე, იმ საქმეზე 7 წელი მომისაჯეს, მაგრამ მერე ციხეში დამიმატეს და დამიმატეს. ვერ შევეგუე იქაურობას, ვიღაცებს ცხვირ-პირი დავუმტვრიე, მერე ვიღაც დაჭრეს, მე შემტენეს, ოღონდ მართლა შემტენეს და ასე გამომივიდა ლამის ოც წლამდე. ჰოდა, ახლა მოვედი, მადლობის სათქმელად მოვედი“...

მსჯავრდებულის სიტყვებმა გამომძიებელი კიდევ უფრო დააბნია და მას უფრო გაუმყარდა აზრი, რომ დამნაშავე მასთან ანგარიშსწორებისთვის მივიდა. აბა, რას უნდა ნიშნავდეს, კაცი ლამის 20 წელი ციხეში იჯდა და მადლობას ამბობს, მაგრამ შემდეგი, რაც გამოცდილმა კრიმინალმა სამართალდამცავს უთხრა, საერთოდ საოცრება გახლდათ – „შეგიძლია, შენი მანქანით, ერთ კონკრეტულ ადგილზე მიმიყვანო? თუ გინდა, საჭესთან მე დავჯდები, თუ გინდა, შენ დაჯექი, რაღაც მინდა განახო“...

მოსაუბრის ტონმა ბატონი თენგიზი დაარწმუნა, რომ ის ცუდს არაფერს აპირებდა, ამიტომ, მანქანაში ჩაისვა და მითითებულ ადგილზე წაიყვანა. დიღმის გასასვლელთან, მტკვრის ნაპირზე, ერთ დიდ ხესთან მივიდა კრიმინალი და მიწის თხრა დაიწყო. კარგა ხანს თხარა, წვალობდა, ასე, ნახევარ მეტრამდე ჩავიდა, ფრჩხილიც კი მოსტყდა, სისხლი სდიოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, გამომძიებელი კი მოთმინებითა და ინტერესით ელოდა, ყოველი შემთხვევისთვის, ხელი იარაღის ბუდეზე ედო. მთხრელმა მიწიდან მინის ნახევარლიტრიანი ქილა ამოიღო, რომელსაც პლასტმასის სახურავი ეფარა, გარშემო კი გასანთლული ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული. ქილაში ასვე გასანთლული ნაჭერი იდო, შიგნით კი...

„ნაჭრის გახსნა ჩემს ცხვირწინ დაიწყო და მოთმინებით ველოდი, რას მანახებდა. ველოდი ყველაფერს, გარდა იმისა, რაც დავინახე. მან ნაჭრიდან ორი ცალი ღილი ამოიღო, ღილები გვირილას ფორმებით და მაშინვე გამახსენდა ჩემი გოგონა, რომლის ახალ კაბასაც სწორედ ორი ღილი აკლდა და რომელ კაბასაც დღემდე საგულდაგულოდ ვინახავდით და ვუფრთხილდებოდით. კრიმინალმა შემომხედა, სახე გაებადრა და თქვა, იცანი, მივხვდი... ჰო, შენი შვილი, სინამდვილეში, ჩემი შვილია“, – ერთ ამოსუნთქვაზე თქვა ბატონმა თენგიზმა.

„როცა მეძებდით, მივხვდი, რომ ადრე თუ გვიან დამიჭერდით. შვილს ველოდებოდი და მინდოდა, ჯერ ის მენახა და მერე დაგეჭირეთ. ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და ბავშვი სამშობიარო სახლიდან დედაჩემმა წამოიყვანა. იქ ვიყავი, შორი-ახლოს, როცა თქვენი ოპერები 24-საათიან რეჟიმში მდარაჯობდნენ, მაგრამ არ გამოვჩნდი. შემდეგ კი, როცა ორი კვირა გავიდა, ალყა მოხსენით და ჩათვალეთ, რომ აღარ გამოვჩნდებოდი. მერე გამოვჩნდი და ვიცოდი, რომ დედა ბავშვს ვერ გაზრდიდა, მოხუცი იყო, ავადმყოფი. მართლაც, ჩემი დაჭერიდან მალევე გარდაიცვალა. რა უნდა მექნა? ბავშვთა სახლში ბავშვს გააშვილებდნენ, მერე მის კვალს ვერ მივაგნებდი. შენზე ბევრი რამ მსმენოდა და გადავწყვიტე, ჩემი შვილის გამზრდელი შენ ყოფილიყავი. ამიტომ, მოგიგდე, ამიტომ დაგელოდე რამდენიმე დღე და როცა მივხვდი, რომ არ შევცდი, ჩაგბარდით. მეგონა, შვიდ წელიწადში გამოვიდოდი, მაგრამ ხომ ხედავ, ბედმა როგორ დამცინა. ახლა, ერთად მოვიფიქროთ, რა ვუთხრათ ჩვენს გოგონას. მინდა იცოდეს, ვინ არის მამამისი და სწორედ მის გამო, პატიოსნად ცხოვრება გადავწყვიტე, იმიტომ მოვეწყვე მუზეუმში და... ხატვის ნიჭი ჩემგან გამოჰყვა იმ მამაძაღლს“, – ცრემლები წასკდა გამოცდილ კრიმინალს.

„სამი თვე მოვუნდით იმის მოფიქრებას, როგორ აგვეხსნა გოგოსთვის ყველაფერი. ნამდვილი მამა „შემთხვევით“, მეორე დღესვე გავაცანი, როგორც მუზეუმის თანამშრომელი, სადაც ხშირად დადიოდა, ნახატებს ათვალიერებდა და მამისგან რჩევებს იღებდა. ერთ საღამოს ყველაფერი მოვუყევით. ნამდვილად არ ელოდა და შოკშიც ჩავარდა, მაგრამ მალევე დამშვიდდა. კიდევ სამი თვე გავიდა, სანამ გადაწყვეტდა, რომ მარტო უნდა გადასულიყო საცხოვრებლად, მუზეუმში ადგილი მისთვისაც მოინახა, თან სწავლობდა, თან მუშაობდა და ეგუებოდა იმას, რომ ორი მამა ჰყავდა, გამზრდელი და ნამდვილი. მერე გათხოვდა, შვილები ჰყავს და ორივეს ისე გვექცეოდა, როგორც მამას ექცევიან. ერთი ეგაა, ნამდვილი მამა რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, ოცწლიანმა ციხემ თავისი ქნა, თუმცა მე ცოცხალი ვარ და ნამდვილ მამობას ვუწევ შვილს, რომელსაც საკუთარისგან არ ვანსხვავებ“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ვახტანგ გომელაურმა იაპონიის ელჩთან გაცნობითი შეხვედრა გამართა



შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს – იშიძუკა ჰიდეკს შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა იაპონიის ელჩს საქართველოში დიპლომატიური საქმიანობის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

მხარეებმა საქართველოსა და იაპონიას შორის არსებულ ნაყოფიერ ურთიერთობებზე ისაუბრეს და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების საკითხი განიხილეს.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში იაპონიის მხარის მიერ შეტანილი წვლილისთვის. ამ მიმართულებით მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხარდაჭერასა და იაპონიის მხარის მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერის მიმართულებით არსებული ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა. ვახტანგ გომელაურმა ასევე ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაყოფიერ თანამშრომლობაზე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA).

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობა და ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში უმასპინძლა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი – აბდულა არიპოვი, დელეგაციასთან ერთად საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ "112"-ს ეწვია.

ადგილზე სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და „112“-ის ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს.

დელეგაციის წევრებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მათ შორის, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის, ასევე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედი ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით დანერგილი ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შესახებ.

ვიზიტის დასასრულს, დელეგაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ სანაპირო დაცვის დღე აღნიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დაარსებიდან 25 წელი შესრულდა. სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, ნიკოლოზ შარაძემ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორთან, რამაზ პაპიძესთან ერთად პირად შემადგენლობას პროფესიული დღე ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზაზე მიულოცა და თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის დააჯილდოვა.

„საქართველოს სანაპირო დაცვას 25 წელი შეუსრულდა. თითოეულ თქვენგანს გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს! შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში: საზღვაო სივრცეში, საზღვაო უსაფრთხოებასთან და უშიშროებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ ამოცანებს ახორციელებს. უნდა აღინიშნოს, რომ სანაპირო დაცვის დეპარტამენტი დინამიურად ვითარდება, რაც თითოეული თქვენგანის ყოველდღიური კეთილსინდისიერი შრომის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო პარტნიორების დიდი დამსახურებაა.

სანაპირო დაცვა მისი ფუნქციონირების 25 წელს, მიღწევებითა და დიდი ისტორიით ხვდება. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა, საქართველოს ნატო-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციის ,,ზღვის მცველის“ ოპერაციული პარტნიორის სტატუსი მიანიჭა. სწორედ სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკური ჯგუფების ნატოს შეფასების 4 – წლიანი პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე, მივაღწიეთ ამ მნიშვნელოვან შედეგს. მადლობა თითოეულ თქვენგანს ამ მიღწევისთვის. საქართველოს პარლამენტმა ,,შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლების ნატო-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში ,,ზღვის მცველი“ მონაწილეობისას საბერძნეთის სამხედრო – საზღვაო ძალების ხომალდებზე განთავსებასთან დაკავშირებით“ უწყებათაშორისი საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა“, – განაცხადა სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, ნიკოლოზ შარაძემ.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 21 თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის დააჯილდოვა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ვახტანგ გომელაურმა კახეთის პოლიციის დეპარტამენტში სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური კახეთის რეგიონში პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომლებს შეხვდა.

ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრმა კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირიც გამართა.

შეხვედრას, მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე, მინისტრის მოადგილე – გიორგი ბუთხუზი და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი – ზვიად ხარაზიშვილი ესწრებოდნენ.

ვახტანგ გომელაურმა რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისგან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამუშაო თათბირზე სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება და დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შესაბამისი დავალებები მისცა.

ვახტანგ გომელაურმა თანამშრომლებს გაწეული ეფექტიანი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

ოთხი მატჩი, ოთხი შანსი და ბოსნიელების მუქარა

ევროთასების 2023/24 წლების საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო და კლუბების ნაწილი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძვის, ნაწილი – ევროპალიგისა და კონფერენსლიგის. ევროთასებზე ოთხი ქართული კლუბი ასპარეზობს და პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ოთხივემ ჩაატარა. ცოდვა გამხელილი სჯობს – იმის გათვალისწინებით, რომ ოთხი ქართული კლუბიდან სამი პირველ შეხვედრას სტუმრად ატარებდა, გვეგონა, შედეგები არასახარბიელო იქნებოდა. მართალია, ოთხი მატჩიდან ქართულმა კლუბებმა ერთიც ვერ მოიგეს, მაგრამ საქმე ისეა, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივეს აქვთ.

თბილისის „დინამოთი“ დავიწყოთ. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ყაზახეთში „ასტანას“ სტუმრობდა და ყველა ამბობდა, რომ ფავორიტი მეტოქე იყო. მართლაც, მატჩი ისე დაიწყო, მასპინძლები უკეთესს ვერ ინატრებდნენ – თბილისელთა კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა, მე-11 წუთზე გოლის გატანაც მოახერხეს. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ თუ ქართველები რამეს არ შეცვლიდნენ, განადგურება არ ასცდებოდათ. საბედნიეროდ, დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტოქემ ვერ ივარგა, თორემ ჩვენ ბევრი არაფერი შეგვიცვლია. ტაიმის ბოლოს, „დინამოს“ ფეხბურთელებმა თამაში გამოასწორეს, მეორე ნახევარში ბევრად უკეთ გაისარჯნენ, გოლიც გაიტანეს და ფრეს მიაღწიეს. ყველაფერი 19 ივლისს, თბილისში, „დინამო არენაზე“ გაირკვევა.

ერთადერთი ქართული გუნდი, რომელიც შინ თამაშობდა, „ტორპედო“ გახლდათ. ქუთათურებს ცუდად ნამდვილად არ უასპარეზია და ბოსნიურ „სარაევოს“ ორჯერ მოუგეს, თუმცა საბოლოოდ, მატჩი ფრედ დასრულდა. ნამატჩევს, სტუმართა თავკაცმა, შეხვედრაზე იმაზე ისაუბრა, თუ როგორ გააგდო ქართულმა პოლიციამ მათი გულშემატკივარი ტრიბუნებიდან.

„ამ ხალხმა 2 500 კილომეტრი იმისთვის გამოიარა, რომ საყვარელი კლუბისთვის ექომაგათ. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ქართველმა სამართალდამცავებმა ისინი სტადიონის ტრიბუნებიდან ცემა-ტყეპით გააგდეს, რაც ძალიან ცუდია. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ საპასუხო შეხვედრა სარაევოში გაქვთ გასამართი და ეს გულშემატკივარი იქ დაგხვდებათ“, – განაცხადა სტუმართა თავკაცმა.

სხვათა შორის, „სარაევოს“ გულშემატკივარი „ტორპედოს“ დასახვედრად აგრესიულად რომ ემზადება, იქაურმა მედიამაც დაადასტურა. სოციალური ქსელის მეშვეობით, ფანები ერთიანდებიან და ამბობენ, რომ არა მარტო კლუბს, არამედ, ქართველ გულშემატკივარსაც ჯოჯოხეთს მოუწყობენ.

სლოვაკურმა „დუნაი სტრედამ“ გორის „დილას“ უმასპინძლა. ერთი შეხედვით, გორელები მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ მასპინძლებმა სამწუთიან მონაკვეთში ორი გოლის გატანა შეძლეს. საბედნიეროდ, „დილამ“ ერთი ბურთი გაქვითა და მატჩიც 2:1 დასრულდა. შედეგად, საპასუხო მატჩის წინ, გორელები ურიგო განწყობაზე არ უნდა იყვნენ, მით უმეტეს, შეხვედრა შიდა ქართლის მთავარ ქალაქში ჩატარდება და სტადიონი აუცილებლად ბოლომდე შეივსება.

და ბათუმის „დინამო“. აჭარლებს მეტოქედ ალბანური „ტირანა“ ერგოთ. გია გეგუჩაძის გუნდმა მეტოქე აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დაჩაგრა და მატჩის კი არა, ორ-რაუნდიანი დაპირისპირების ბედი შეეძლო გადაეწყვიტა, მომენტები რომ გამოეყენებინა. ბათუმმა მხოლოდ ერთი შეაგდო და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე, საკუთარ კარში დასანანი გოლი მიიღო, შეხვედრა ფრედ დასრულდა და ზღვისპირეთში გასამართი შეხვედრის წინ, ყველა ოპტიმისტურადაა განწყობილი – „დინამომ“ ალბანური ბარიერი უპრობლემოდ უნდა გაიაროს.

„ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიო მერვე ადგილით დაასრულეს

საქართველოს მორაგბეთა 20-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა მერვე ადგილზე დაასრულა. უმცროსი „ბორჯღალოსნები“ მეშვიდე ადგილისთვის მატჩში ახალ ზელანდიას დაუპირისპირდნენ და 26:50 დამარცხდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდნენ.

ვიღაცისთვის ეს, შესაძლოა, არადამაკმაყოფილებელი შედეგია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ჩვენი ნაკრები მსოფლიოში მერვეა ანუ მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ 7 ნაკრები გვჯობს და ესეც პირობითია – იგივე ახალ ზელანდიელებს, ჩვენი გუნდი ტოლ-სწორად ეთამაშა და ისინი შეხვედრის დასაწყისში და მატჩის მიწურულს გაგვექცნენ, თორემ დანარჩენი დრო ჩვენი კონტროლით მიდიოდა. რაც არ უნდა იყოს, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი გამოცდილებაა და იმედი გვაქვს, ეს თაობა ეროვნულ გუნდში ღირსეული ცვლილებით მოვა.

დავითაშვილში 9 მილიონს იხდიან

ზურიკო დავითაშვილმა არა მარტო ეროვნულ ნაკრებში, არამედ, ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზეც დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია და რაც მთავარია, აქვს იმის პოტენციალი, რომ მოუმატოს. ზურიკო ბათუმის „დინამოს“ კუთვნილება იყო და გასული სეზონი „ბორდოში“, იჯარის წესით გაატარა, სეზონის ბოლოს კი ჟირონდიელებმა ქართველი შემტევი გამოისყიდეს და... ჩვენი ინფორმაციით, დავითაშვილის სანაცვლოდ, ბათუმელებმა 1.5 მილიონი ევრო მიიღეს და ისე, რომ ახალი სეზონი ჯერ არ დაწყებულა, შესაძლოა, „ბორდომ“ 10 მილიონი იხეიროს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფრანგები ქართველს გაყიდიან.

„ერთ-ერთმა იტალიურმა კლუბმა, დავითაშვილის სანაცვლოდ, „ბორდოს“ 9 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ფრანგული კლუბი არ აპირებს, პერსპექტიულ ქართველს ასე იაფად შეელიოს“, – წერს ფრანგული მედია.

ისე, თუ დავითაშვილი იტალიაში გადავა, ხვიჩა კვარაცხელიას, ლუკა ლოჩოშვილისა და გიორგი კვერნაძის შემდეგ, აპენინებზე მოთამაშე მეოთხე ქართველი იქნება, რაც ძალიან კარგი ამბავია.

ქალთა ნაკრები აღარ ხუმრობს

სექტემბერში, ისტორიაში პირველად, ქალ ფეხბურთელთა ერთა ლიგა დაიწყება. ამ ტურნირისთვის საქართველოს ნაკრებიც ემზადება და ჩვენი გუნდის ახალ თავკაცს, ირის ანტემანს ნაკრები პრაქტიკულად ყაზარმულზე ჰყავს გადაყვანილი. ერთა ლიგისთვის ემზადებიან ჩვენი მეზობელი სომხებიც და მათი გოგონათა ნაკრებიც საქართველოში გადის შეკრებას. ჰოდა, მხარეებმა ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე მოიპალარაკეს და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხასიათს ატარებს ქართულ-სომხური საფეხბურთო დაპირისპირება, ამხანაგურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტემანის დებიუტი შესაშური გამოვიდა – საქართველოს ნაკრებმა სომხეთის ნაკრები მშრალი ანგარიშით, 5:0 დაამარცხა. ჩვენებმა 3 გოლი პირველ ნახევარში გაიტანეს, 2 გოლი კი მეორე ტაიმში შეაგდეს.

„ბარსელონა“ ნახევარი მილიონით დააჯარიმეს

სხვა ევროპულ კლუბებთან ერთად, ახალი სეზონისთვის მზადებას „ბარსელონაც“ შეუდგა, მაგრამ კლუბში არსებული ფინანსური პრობლემების გამო, ჯერჯერობით, მხოლოდ 13 ფეხბურთელი ვარჯიშობს. იმის მიუხედავად, რომ კატალონიელები ესპანეთის ჩემპიონები გახდნენ და არც თუ მცირე შემოსავალი მიიღეს, მთელი თანხ ვალებს მოახმარეს. გუნდის თავკაცი ხავი ერნანდესი არ მალავს, რომ ახალი ფეხბურთელების დამატება კი არა, ძველების შენარჩუნებაც დიდი კითხვის ქვეშა და ხომ გაგიგიათ, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო? უეფამ, ფინანსური დარღვევების გამო, „ბარსელონა“ 500 ათასი ევროთი დააჯარიმა.

კატალონიელთა სამწუხაროდ, გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბარსამ“ ფული 1 სექტემბრამდე უნდა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლებას არ მისცემენ.

ტიმბერი „არსენალში“ ითამაშებს

ლონდონის „არსენალმა“, ამსტერდამის „აიაქსიდან“ 22 წლის მცველი, იურენ ტიმბერი შეიძინა და მის სანაცვლოდ, ნიდერლანდელებს 40 მილიონი ევროც გადაუხადა. „აიაქსის“ გარდა, ტიმბერს არცერთ სხვა კლუბში არ უთამაშია, ამსტერდამელთა დიდ კლუბში 121 მატჩი გამართა, 6 გოლი გაიტანა და ნიდერლანდების ეროვნული ნაკრების მაისური, ჯერჯერობით, 15-ჯერ მოირგო. აღნიშნულ ტრანსფერზე, ეგებ, საერთოდ არაფერი დაგვეწერა, რომ არა ერთი ძალიან საინტერესო რამ. ტიმბერი 6 წლის იყო, როცა ფეხბურთზე მიიყვანეს, რაღა თქმა უნდა, ამსტერდამის საფეხბურთო აკადემიაში, სადაც პირველივე ვარჯიშზე განაცხადა, რომ მისი ოცნების გუნდი „არსენალია“ და სწორედ ლონდონურ კლუბში თამაში სურს. მან ისიც თქვა, რომ თუ „აიაქსიდან“ ოდესმე წავიდოდა, მხოლოდ „არსენალში“ და აგერ, ტიმბერმა ოცნების გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბევრმა ეს ამბავი არ დაიჯერა, მაგრამ... აღნიშნული განცხადების ამსახველი ვიდეო „აიაქსმა“ უკვე გამოამზეურა.

„მეცმა“ მიქაუტაძე 15 მილიონად არ გაყიდა

ის, რომ ფრანგული „მეცი“ უძლიერესთა შორის დაწინაურების მიუხედავად, მთავარ ვარსკვლავს, გასული სეზონის ბომბარდირსა და საუკეთესო ფეხბურთელს, გიორგი მიქაუტაძეს რომ ვერ შეინარჩუნებდა, ისედაც ცხადი იყო. ქართველი ფორვარდის სამსახურით არაერთი კლუბია დაინტერესებული და თანაც ბევრად უკეთესი ჩემპიონატებიდან, ვიდრე საფრანგეთია. ჯერ ითქვა, რომ მიქაუტაძის შეძენა იტალური კლუბს, კონკრეტულად კი რომის „ლაციოს“ სურდა, მაგრამ ყველაზე მეტად, ინგლისურ პრემიერლიგაში აღზევებული „ბარნლი“ აქტიურობს და ფრანგებმა პირველი ოფიციალური წინადადება, სწორედ მათგან მიიღეს. ინგლისელები მზად არიან, მიქაუტაძის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადონ, თანხა, რომელიც სეზონის ბოლოს დასახელდა, თუმცა...

„მიქაუტაძემ არაერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის ფორვარდია. მისი გასხვისება არ გვსურს, მაგრამ ფეხბურთელი უკეთესი ჩემპიონატისკენ ისწრაფვის და ხელს არ შევუშლით, თუმცა ვისაც მისი შეძენა სურს, 20 მილიონის გადახდა მოუწევს“, – ასეთია „მეცის“ პოზიცია და ახლა ჯერი „ბარნლიზეა“. ჟურნალისტები იმასაც წერენ, რომ მიმდინარე პროცესს, სწორედ „ლაციო“ აკვირდება და შესაფერის მომენტს ელოდება, რათა მიქაუტაძე ინგლისელებს ცხვირწინ აიცალოს.

ნადირობა კუდიანებზე ანუ რატომ ვეძებთ ბნელ ოთახში ისევ შავ კატას

მე-3 გვერდიდან

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ნაციონალები მოვიდნენ, სოროსის თემა „მოკვდა“ ანუ ანტისოროსელები საჯარო გამოსვლებს ვეღარ ბედავდნენ, თუმცა კულუარებში მიშასა და მის პოლიტიკურ და-ძმებს, სულ „სოროსის ლეკვებს“ ეძახდნენ, თან იმის სადემონსტრაციოდ, რომ სოროსი ეშმაკის მოციქულია, მსოფლიოს სხვადასხვა მაგალითს იშველიებდნენ, აი, ამა და ამ სახელმწიფოში, „ძია ჯორჯი“ მტრად გამოაცხადესო.

ის, რომ სოროსი ამა თუ იმ ქვეყანაში პერსონა ნონ-გრატადაა გამოცხადებული, სიმართლეს შეესაბამება, რასაც ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციაც მოწმობს. ერთ-ერთ ქართულ ინტერნეტპორტალზე (gardaqmna.do.am) გამოქვეყნებულ წერილში – „უდიდესი აფერისტი და თანამედროვე რევოლუციების მამა“ ნათქვამია:

„2003 წლის ბოლოს, „ვარდების (ნოემბრის) რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ, ჯორჯ სოროსი (მისი ნამდვილი სახელი და გვარია დიორდ შვარცი) მსოფლიო მედიის წინაშე თამამად აცხადებდა, რომ წარმატებული რევოლუციური ექსპერიმენტები ჩაატარა სენეგალში, სერბეთსა და საქართველოში, რასაც ამ ქვეყნებში დიქტატორების დამხობა და დემოკრატიის დამყარება მოჰყვა. სოროსი უფრო შორსაც კი წავიდა და (მეგობრებთან ერთად) ერთი წელი საქართველოს ხელისუფლებას ხელფასსაც უხდიდა. სოროსი თავს პოლიტიკურ მესიას ეძახის, რომელიც მსოფლიო ხალხების განსათავისუფლებლადაა დაბადებული.

მაინც ვინ არის სოროსი?

80 წელს გადაცილებული უნგრელი ებრაელის ქონება 11 მილიარდ დოლარს აჭარბებს და მთელი ეს ქონება, ბოლო 20 წელიწადში, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მსოფლიო ბირჟებზე მოწყობილი სავალუტო მაქინაციებით მოიპოვა, რასაც ბევრ (განსაკუთრებით აზიის) ქვეყანაში ეროვნული ფულის დევალვაცია და მძიმე ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა, რის გამოც სოროსს ბევრ სახელმწიფოში, როგორც საერთაშორისო აფერისტს, ჩასვლა ეკრძალება.

ჯორჯი 1930 წლის 12 აგვისტოს, ბუდაპეშტში დაიბადა. მამამისი ტივადარ შვარცი ქალაქის ებრაული თემის გამოჩენილი ადვოკატი და მწერალი იყო, რომელმაც 1936 წელს, წარმატებას რომ მიეღწია, უნგრული გვარი შოროში (სოროსი) მიიღო. 1944 წელს, გერმანელთა მიერ ქალაქის დაკავების დროს, ოჯახი სწორედ გვარის შეცვლამ გადაარჩინა დაპატიმრებას. 17 წლის ასაკში, ჯორჯი საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა, რადგან ბუდაპეშტში კომუნისტების შესვლის შემდეგ ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლა წარმატებით დაამთავრა და მუშაობა ჯერ გალანტერიულ ფაბრიკაში, შემდეგ კი კომივოიაჟორად დაიწყო, თუმცა ბანკში სამსახურის ძებნასაც განაგრძობდა. 1953 წელს, ფირმაში – „სინგერი და ფრიდლანდერი“ დასაქმდა, სამსახური და ამავე დროს სტაჟირება მიმდინარეობდა საარბიტრაჟო გამყოფილებაში, რომელიც მდებარეობდა ლონდონის ბირჟის ახლოს.

ლონდონის ბირჟის წესების შესწავლის შემდეგ, 1956 წელს, სოროსი თავისი ლონდონელი მეგობრის მამის, ვინმე მაიერის მიწვევით, აშშ-ში გაემგზავრა და მუშაობა მაიერის პატარა საბროკერო ფირმაში – „უოლ სტრიტი“ დაიწყო, რომელიც მალე მსოფლიოში უდიდეს ბირჟად იქცა. ცოტა ხანში, ნიუ იორკში სოროსმა დააარსა აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საინვესტიციო ფონდი Quantum Group of Funds (ფონდი დარეგისტრირებული იყო, როგორც ოფშორული კომპანია კარიბის ზღვის კუნძულ კიურასაოზე), რომლის წყალობითაც დიდი ფული დააგროვა და ოცნების ახდენას შეუდგა.

„მე ძალიან მაინტერესებდა განსხვავება დახურულ და ღია საზოგადოებებს შორის, საიდანაც გავიქეცი და სადაც ვარჩიე ცხოვრება, – ამბობს სოროსი, – ამ გაქცევამ საშუალება მომცა, ის მეკეთებინა, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ხორცი შემესხა ჩემი ოცნებებისათვის სამყაროს უკეთესი მოწყობის შესახებ“.

1979 წელს, სოროსი ნიუ იორკში ღია საზოგადოების



პირველ ფონდს (Open Sosiety Fund) აარსებს, 1984 წელს კი, ბუდაპეშტში „ღია საზოგადოების“ აღმოსავლეთ-ევროპული საქველმოქმედო ფონდს ხსნის, რომლის ფილიალებმა მალე მთელი აღმოსავლეთ ევროპა მოიცვა (1988 წელს, სსრკ-ში ფონდი „კულტურული საზოგადოება“ დააარსა, რომელიც 1995 წელს, „ღია საზოგადოებად“ გადაკეთდა. აღნიშნულმა ფონდმა რუსეთში საქმიანობა 2004 წლის დასაწყისში შეწყვიტა) და თავისი წვლილი შეიტანა კომუნისტური რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1992 წლის 16 სექტემბერს, სოროსმა, ფინანსური მაქინაციებით, ლონდონში, ფუნტი სტერლინგის კურსის ხელოვნურად დაწევა მოახერხა, რითაც 1 მილიარდი დოლარი იშოვა. ბრიტანელმა ბანკირებმა ამ დღეს „შავი ოთხშაბათი“ უწოდეს, სოროსს კი – ამორალური კაპიტალისტი.

წლების განმავლობაში, ფინანსური მაქინაციების შედეგად ნაშოვნ მილიონებს სოროსი უშურველად ხარჯავდა აშშ-ის არასასურველი დიქტატორების საწინააღმდეგო კამპანიებში (1994 წელს, თავისი საქველმოქმედო ფონდების სისტემაში 300 მილიონი აშშ დოლარი ჩადო, 2004 წელს, ამ ციფრმა 474 მილიონ დოლარს მიაღწია. ქველმოქმედებაზე სულ 5 მილიარდ აშშ დოლარამდე აქვს დახარჯული, რომლის 20% რუსეთზე მოდის) და ამ მხრივ დიდი გამოცდილება დააგროვა, ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობამ შევარდნაძის შემცვლელი მთავრობის შედგენა, სწორედ მას დაავალა (სხვათა შორის, სოროსი 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ბუში უმცროსის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა). სოროსმა ჯერ კიდევ 90-იანი წლებში, საქართველოში დააარსა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ (ე.წ. სოროსის ფონდი, რომლის ხელმძღვანელები და წევრები, სხვადასხვა დროს, იყვნენ დავით დარჩიაშვილი, თინათინ ხიდაშელი, გოკა გაბაშვილი, დავით უსუფაშვილი და სხვები). ამ ფონდმა თავის მიზნად საქართველოში თავისუფალი საზოგადოების შექმნა გამოაცხადა. ფონდის დახმარებითა და მეთვალყურეობით, საქართველოში შეიქმნა მრავალი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ახალი მთავრობისათვის საჭირო კადრებს ზრდიდა. ამ ორგანიზაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „თავისუფლების ინსტიტუტი“ (დაარსდა 1996 წელს და მისი წევრები იყვნენ: დავით ზურაბიშვილი, გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი, სოზარ სუბარი, გივი თარგამაძე, თამარ კინწურაშვილი, აკაკი მინაშვილი, კონსტანტინე ვარძელაშვილი და სხვები) და სტუდენტური ორგანიზაცია „კმარა“, რომელიც სერბული „ოტპორისა“ და უკრაინული „პორას“ ანალოგი იყო. 2001-2005 წლებში, „კმარას“ წევრები იყვნენ: გიგი უგულავა, თეა თუთბერიძე, გიორგი ონიანი, გიორგი კანდელაკი და სხვა. „კმარა“ თავიდან უნივერსიტეტის პროფესურას ებრძოდა, შემდეგ – შევარდნაძის ხელისუფლებას, ამ უკანასკნელის დამხობის შემდეგ კი ეკლესიასთან ომი წამოიწო).

სოროსის ფონდის პოლიტიკურ დასაყდენს საქართველოში მოქალაქეთა კავშირის ე.წ. სააკაშვილის ფრთა და რესპუბლიკური პარტია წარმოადგენდნენ. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ 2001 წელს, ნაციონალური მოძრაობა სწორედ ამ ორმა სუბიექტმა შექმნა. ნაციონალურ მოძრაობას კი, ისევე, როგორც მის მოკავშირე „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და „კმარას“, 2005 წლამდე, სწორედ სოროსის ფონდი აფინანსებდა და ამას არც მალავდა.

2004 წლიდან, სოროსი ბუშის ოპოზიციაში გადავიდა და 2008 წლის არჩევნებში, რესპუბლიკური პარტიის დამარცხებისა და ობამას გასაპრეზიდენტებლად ათეულობით მილიონი დახარჯა. ბუში უმცროსის გამარჯვებამ და მსოფლიო კრიზისმა სერიოზულად შეარყია სოროსის ბიზნესსაქმიანობა. ამისთან, ასაკიც დაეტყო. შედეგად, 2011 წლის 26 ივლისს, სოროსმა საქველმოქმედო ფონდ „ღია საზოგადოების“ დახურვის შესახებ განაცხადა და დაამატა, რომ ამიერიდან ფულს მხოლოდ საკუთარი ოჯახისთვის დააგროვებდა. იმ დროისთვის მისი ქონება, „ფორბსის“ მონაცემებით, 11 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებდა.

სოროსი ზოგისთვის ქველმოქმედია, ზოგისთვის კი – საერთაშორისო აფერისტი. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ერთ-ერთი გამოხატულებაა იმ თეორიისა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს პოლიტიკოსები კი არა, არამედ, მილიარდელები მართავენ, რადგან ომებით ძალაუფლების მოპოვების დრო დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა და ახლა სამყაროს დიდი ფული განაგებს.

„ყველა ჩვენგანს სურს, დატოვოს კვალი ამ ქვეყანაზე. გარკვეული დროის შემდეგ, სიმდიდრისკენ ლტოლვას აზრი ეკარგება, თუ კი არ იცი, ის რისთვის უნდა გამოიყენო“, – ამბობს ჯორჯ სოროსი.“

ისე, ჩვენში დარჩეს და, სოროსთან მაინცდამაინც მტრული დამოკიდებულება არც საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას აქვს. ყოველ შემთხვევაში, სამი წლის წინ ანუ 2014 წლის ნოემბერში, „ღია საზოგადება – საქართველოს“ 20 წლის იუბილეზე, სოროსი საქართველოს ესტუმრა და ხელისუფლების უმაღლეს პირებსაც შეხვდა. 2014 წლის 14 ნოემბერს, ქართული საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია:

„ღია საზოგადოების საქველმოქმედო ფონდების დამაარსებელი და ხელმძღვანელი ჯორჯ სოროსი თბილისშია.

ჯორჯ სოროსი საქართველოში, „ღია საზოგადოება – საქართველოს“ 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ფონდის წარმომადგენლებმა მოიწვიეს. ამ თარიღის აღსანიშნავად ფონდი გარკვეულ ღონისძიებებს გეგმავს.

დღეს სოროსი სტუდენტებისთვის ლექციას წაიკითხვას. ხვალ, 15 ნოემბერს კი პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს შეხვდება.

საუბარია იმაზე, რომ სოროსი, შესაძლოა, პარლამენტის თავმჯდომარესაც შეხვდეს, თუმცა ეს საკითხი ჯერ დადასტურებული არ არის.

როგორც ფონდში განმარტავენ, სოროსის შეხვედრა ოპოზიციის წარმომადგენლებთან ჩანიშნული არ არის“.

* * *

ერთი სიტყვით, მსოფლიო, ხატოვნად რომ ვთქვათ, კოსმოსის მწვერვალებს იპყრობს, საქართველოში კი ბნელ ოთახში ისევ შავ კატას ეძებენ და ერის ღირსების შესანარჩუნებლად სხვების საჯდომებს დარაჯობენ! რას ვიზამთ, ესეც, ალბათ, ჩვენი ბედისწერაა...

მუხლუხოს შხამი კიბოს წინააღმდეგ

ავსტრალიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ მუხლუხო Megalopyge Opercularis-ს შხამს ისევე შეუძლია უჯრედებში ხვრელების გაკეთება, როგორც ნაწლავური ჩხირისა და სალმონელას ტოქსიკურ ბაქტერიებს. მწერებს ასეთი რამ არ შეუძლიათ, თუმცა ამ სახეობას აქვს მიკრობებისგან გენების გადატანის უნარი. სავარაუდოდ, მუხლუხოს შხამი უჯრედის ზედაპირს უკავშირდება და მასზე ხვრელს აკეთებს.

„გამორიცხული არაა, რომ ტოქსინის მოქმედების მექანიზმი სასარგებლო აღმოჩნდეს მედიცინისთვის. ტოქსინებს აქვთ განსაკუთრებული პოტენციალი პრეპარატის მისაწოდებლად, მათი უჯრედში შეღწევის უნარის გამო. შესაძლოა, ჩვენ ისე ავაგოთ მოლეკულა, რომ სასარგებლო წამლები მივმართოთ ჯანმრთელი უჯრედებისკენ, ან სიმსივნური უჯრედები ამორჩევით გავანადგუროთ“, – აცხადებენ კვლევის ავტორები.

ფრანგებს ფეხსაცმლის შეკეთებას დაუფინანსებენ

საფრანგეთის ხელისუფლება ნაწილობრივ დაუფარავს მოქალაქეებს იმ ხარჯებს, რასაც ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკეთებაზე დახარჯავენ. მთავრობაში ასე სურთ სწრაფი მოდის ანუ მასმარკეტის პოპულარობისა და ტექსტილის ნარჩენების მოცულობის შემცირება, რაც წელიწადში 700 ათას ტონას აღწევს. ახალი პროგრამის მიხედვით, ოქტომბრიდან, ფრანგები 6-25 ევრომდე ბონუსურ ფასდაკლებას მიიღებენ. საამისოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხუთ წელზე გათვლილი, 154 მილიონი ევრო გამოყვეს. იმედოვნებენ, რომ ეს ღონისძიება სტიმულს მისცემს სამკერვალო წარმოებას და ახალ სამუშაო ადგილებსაც გააჩენს. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მწარმოებლები ახალ ინიციატივას სულაც არ აპროტესტებენ – ისინი ფიქრობენ, რომ მათ ბიზნესს საფრთხე არ დაემუქრება და რაც მთავარია, სამთავრობო გეგმის მეორე ნაწილი მარკირების ახალ წესებსაც ითვალისწინებს. ფაბრიკებს მოუწევთ, მიუთითონ, რა გავლენას ახდენს კონკრეტული ნაწარმი გარემოზე: რა მოცულობის წყალი და ქიმიკატები იხარჯება მათ შექმნაზე, როგორია მიკროპლასტიკის ეკოსისტემაში მოხვედრის რისკი და სხვა. ახალი წესები 2024 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

მოგზაურობისთვის საკუთარ ცხოვრებას ჰყიდის

ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტის მცხოვრებმა მამაკაცმა მთელი თავისი ცხოვრება ინტერნეტში, 2.2 მილიონ ავსტრალიური დოლარად გაიტანა გასაყიდად. მიღებული ფულით, 61 წლის სტივენ ტოლი, სამოგზაუროდ წასვლას გეგმავს. მამაკაცმა გადაწყვიტა გაყიდოს ყველაფერი, რაც გააჩნია – პაკეტში არსებულ შეთავაზებაში იგულისხმება უფლებების გადაცემა მის ნებისმიერ მოძრავ და უძრავ ქონებაზე. მყიდველს, არსებითად, მისი ადგილის დაკავება შეუძლია. შესაბამისად, მსურველი მიიღებს სტივენის ოთხოთახიან სახლს – 900 კვადრატული მეტრის ფართობით, ავეჯით, მდიდრული გასართობი სისტემით, ასევე, ბარს – ქუჩაში. გარიგებაში შედის მისი გადაზიდვების ბიზნესიც, რომლის აწყობასაც ავსტრალიელმა 10 წელი მოანდომა. შეთავაზების პაკეტში შედის მისი მანქანები, ტრენაჟორები და მუსიკალური ინსტრუმენტები, მათ შორის, ძვირფასი გიტარები. სტივენი მსოფლიოში სამოგზაუროდ წასვლას მხოლოდ ერთი ჩემოდნით გეგმავს.

კლიმატის ცვლილება ესპანეთს დაუაზარალებს

ეკოლოგების გათვლებით, გლობალური დათბობა ყველაზე მეტად ესპანეთს აზარალებს. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, ჰაერის ტემპერატურა 1.5-ჯერ უფრო მეტად იზრდება, ვიდრე პლანეტის სხვა ნაწილებში. უახლოესი 20 წლის განმავლობაში, ის კიდევ 2 გრადუსით მოიმატებს, ხოლო საუკუნის ბოლოსთვის – 4 გრადუსით. ასევე, ინტენსიურად თბება ხმელთაშუა ზღვაც, ესპანეთის სანაპიროებთან. სპეციალისტების გათვლებით, 2100 წლისთვის, წყლის ზედაპირი 1.8-3.5 გრადუსით უფრო თბილი იქნება. მავნე გამონაბოლქვი რომ შეწყდეს კიდეც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ესპანეთში ტემპერატურა მაინც სწრაფად გაიზრდება.

პირველი უსადენო ტელევიზორი წარადგინეს

სამხრეთ კორეულმა კომპანია LG Electronics-მა, მსოფლიოში პირველი, უსადენო OLED-ტელევიზორი – Signature M წარადგინა. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, 246-სანტიმეტრიანი ტელევიზორი ორგანული შუქდიოდით Zero Connect-ის გადამცემით გაიყიდება, რომელიც ვიდეო და აუდიოსიგნალებს უსადენო ქსელით გადასცემს. აღნიშნავენ, რომ ეს გადამცემი ერთგვარი ყუთია, რომელიც შესაძლებელია, ათ მეტრამდე მანძილზე განათავსოთ, რადგან მაინც უხარვეზოდ შეძლებს მონაცემების გადაცემას. სიახლის ავტორების თქმით, Signature M-ის შექმნა შესაძლებელი გახდა OLED-ტექნოლოგიების წყალობით და იმ ნოუ-ჰაუთი, რომელიც ბრენდმა ბოლო პერიოდში შექმნა. ჯერჯერობით, უსადენო ტელევიზორი მხოლოდ სამხრეთ კორეაში გაიყიდება. ამ ეტაპზე, მისი ფასიც უცნობია.

ვაკანსია უსაქმურებისთვის

ორმა შვედმა მხატვარმა – საიმონ გოლდინმა და იაკობ სენებიმ უჩვეულო ექსპერიმენტი მოიფიქრეს, რომელსაც Eternal Employment Foundation („მუდმივი შრომითი მოწყობა“) უწოდეს. აქციის ფარგლებში, 2025 წელს, გამოცხადდება ვაკანსია უსაქმურისთვის. კანდიდატს შესთავაზებენ სამუდამო სამსახურს, კარგ ხელფასს (2 320 დოლარი თვეში), რომელიც ყოველწლიურად გაიზრდება, დასვენების დღეებს, შვებულებასა და პენსიას. ამასთან, ვისაც ბედი გაუღიმებს და ვაკანსიას მიიღებს, მუშაობა არ მოუწევს. მისი ერთადერთი ამოცანა იქნება, ყოველ სამუშაო დღეს მივიდეს გიოტებორგში მდებარე კორსვეგენის რკინიგზის სადგურზე, ცოტა ხნის შემდეგ კი წავიდეს. „სამუშაო დროის“ განმავლობაში, კანდიდატს შეუძლია იმით დაკავდეს, რაც სურს. თუკი ის „სამსახურიდან“ წასვლას მოინდომებს, მის შემცვლელს მაშინვე გამოძებნიან. „მუდმივი შრომითი მოწყობა“ 120 წლის განმავლობაში იმოქმედებს. ექსპერიმენტისთვის უკვე გახსნეს სპეციალური ფონდი, რათა დასაქმებულს ხელფასი გადაუხადონ. ფონდის ანგარიშზე უკვე 650 ათასი დოლარია. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ გაცილებით მეტ თანხას შეაგროვებენ. მხატვრების თქმით, ექსპერიმენტის მიზანია, მსოფლიოში საუკეთესო „მემი“ შექმნან. მათ სურთ, ისტორიაში შევიდნენ, როგორც აბსოლუტური უსაქმურობისთვის დაქირავებული ადამიანისთვის ვაკანსიის შემქმნელები.

ლიმონის ნესვი გამოიყვანეს

იაპონელმა ფერმერებმა, კუნძულ ჰოკაიდოდან, სრულიად ახალი ხილი – ლიმონის ნესვი გამოიყვანეს. ხილის ფორმა მრგვალია საზამთროსავით, თუმცა ქერქზე ხაზები არ აქვს, შიგნით კი ნაყოფი თეთრი და წვნიანი ტექსტურისაა. სიახლე გემოთი ცოტა ტკბილია, როგორც ნესვი, თუმცა ლიმონის სიმჟავეც გაჰკრავს. კომპანია Suntory Flowers ლიმონის ნესვზე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა. მიღებული ხილი ურიცხვი ექსპერიმენტების შედეგია. ამ მომენტისთვის, ლიმონის ნესვი შეზღუდული რაოდენობით მოჰყავთ. მისი ფასი 3 218 (დაახლოებით, 24 დოლარი) იენია. ფერმერები წელს 3 800 ცალი პროდუქტის მოყვანას გეგმავენ და ის საპოროს სუპერმარკეტებში გაიყიდება.

აგურების ჭამაზე გადაერთო



კონგოს მცხოვრები აფრიკელი მამაკაცი ქვების, ქვიშისა და ნახშირის დიეტაზეა და უარს აცხადებს მის შეცვლაზე, რადგან ჩვეულებრივი პროდუქტებით იმედგაცრუებულია. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი, სახელად – ჟან მარი, სიამოვნებით ხრავს აგურებს, მიირთმევს ქვიშას და ხის ნახშირს, რომლის მოძიებაც გარშემო ძალიან იოლია. დროდადრო, ის ჩვეულებრივ საჭმელსაც მიირთმევს, თუმცა, ამბობს, რომ მას გემოს ვეღარ ატანს. კონგოელი აღნიშნავს, რომ ქვების ჭამა ბავშვობიდან დაიწყო. მიუხედავად ახლობლების მცდელობისა, გადაეჩვიათ ამ მავნე ჩვევისგან, ჟან მარი მაინც აგრძელებს თავის უჩვეულო დიეტას, რადგან მიაჩნია, რომ ეს მის ჯანმრთელობას არ აზიანებს. მამაკაცის რაციონი დიდ ეჭვს იწვევს მის ახლობლებში. ისინი ამბობენ, რომ ამის გამო, ჟანი უცოლო დარჩება, რადგან არავინ მოისურვებს დაქორწინდეს ასეთი მისწრაფებების მქონე კაცზე.

ბალიში ზარმაცებისთვის

ერთ-ერთ ჩინურ საიტზე, სადაც სტარტაპებისთვის თანხებს აგროვებენ, ახალი გამოგონება გაჩნდა – ჭკვიანი ბალიში „დარმა“ მათთვის, რომლებსაც ცხოვრების მჯდომარე წესი აქვთ. მრავალრიცხოვანი გაჯეტებისგან განსხვავებით, რომლებიც მომხმარებლების აქტიურობის დონეს ზომავენ, ეს მოწყობილობა პირიქით, ფოკუსირებას არააქტივობაზე ანუ სიზარმაცეზე აკეთებს. ბალიშში სენსორებია მოთავსებული და მის შექმნაზე ავტორებმა ხუთი წელი დახარჯეს. როგორც ჩინელი ინჟინრები ირწმუნებიან, ბალიში აფიქსირებს ადამიანის სუნთქვას, პულსს, სტრესის დონესა და მჯდომარე პოზას უფრო ზუსტად და ეფექტიანად, ვიდრე სხვა მოწყობილობები. მობილურთან დაკავშირებული ბალიში, მის მფლობელს ზედმეტი კილოგრამების აკიდების საშუალებას არ აძლევს – მომხმარებლის ჩვევების შესწავლის შემდეგ, „დარმა“ მფლობელს დასაჯდომად სწორ პოზას კარნახობს, შეახსენებს, როდის უნდა ადგეს და აძლევს რეკომენდაციას ფიზიკური ვარჯიშებისთვის. თუკი „ჭკვიანი“ ბალიში პატრონის სტრესს დააფიქსირებს, მას სუნთქვით ვარჯიშებს ურჩევს. ბალიშის მასობრივი წარმოება მომავალ წელს იგეგმება, გაჯეტის ფასი, დაახლოებით, 200 დოლარი იქნება.

ბადრიჯანი და კარტოფილი ერთად

ბრიტანული კომპანია Thompson & Morgan მებაღეებს მალე ახალი მცენარით გაახარებს, რომელსაც ორმაგი მოსავლის – ბადრიჯნისა და კარტოფილის მოცემა შეუძლია. ყოველი ერთეული მცენარე მის პატრონს სეზონზე 4-5 დიდი ბადრიჯნითა და 2 კილოგრამი კარტოფილით გაახარებს. ეს, ალბათ, იდეალური ვარიანტია მათთვის, რომლებსაც მიწის პატარა ნაკვეთი აქვთ ან აივანზე მოჰყავთ ბოსტნეული. ერთ-ერთი ნოვატორის განცხადებით, მათი ქმნილება გენური ინჟინერიის ნაყოფი არ არის, ის სელექციონერების მრავალწლიანი შრომის შედეგია. მცენარის ქვედა ნაწილი ფესვებიანად კარტოფილს ეკუთვნის, ზედა კი – ბადრიჯანს.

დღის ძილი ტვინის მოცულობას ზრდის

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა, კვლევების შედეგად დაადგინა, რომ დღისით ძილი ადამიანის ტვინის მოცულობას ზრდის. მკვლევარებმა 40-დან 69 წლამდე ასაკის 380 ათასი ადამიანის მონაცემები გააანალიზეს. მათი მიზანი იყო დაედგინათ, რა მიზეზობრივი კავშირია დღის ძილსა და ტვინის ჯანმრთელობას შორის. კვლევებისას, სპეციალისტებმა შეისწავლეს დნმ-ის 97 ფრაგმენტი, რათა ადამიანების ძილისკენ მიდრეკილება დაედგინათ. შემდეგ შეადარეს იმ ადამიანების ტვინის ჯანმრთელობა და კოგნიტური ფუნქციები, რომლებიც გენეტიკურად მეტად იყვნენ ძილისკენ მიდრეკილები იმ მოხალისეებისას, რომლებსაც დღისით ძილი არ სურდათ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ძილისკენ მიდრეკილი ადამიანების ტვინის საერთო მოცულობა ასოცირებული ჰქონდათ ტვინის ჯანმრთელობასთან, ასევე, დემენციისა და სხვა დაავადებების განვითარების დაბალი რისკი აღენიშნებოდათ.

გაფუჭებულ პროდუქტზე შეფუთვა მიგანიშნებთ

კანადელმა სწავლულებმა შექმნეს შესაფუთი ყუთი, რომელიც მასში შენახულ პროდუქტში სალმონელას, ნაწლავის ჩხირის, ლისტერიისა და სხვა საშიში ბაქტერიების არსებობაზე მოგაწვდით ინფორმაციას. ყუთს დახრილი გვერდები აქვს. მისი წყალობით, საკვებიდან სითხე ყუთის ძირზე არსებულ სენსორთან ჩადის და მისი მაჩვენებლები სპეციალური მობილური აპლიკაციის მეშვეობით შეგიძლიათ აკონტროლოთ. ასე მყიდველები დარწმუნებულნი იქნებიან შეძენილი პროდუქტის უსაფრთხოებაში. ახალი ტექნოლოგია, ლაბორატორიაში, საკვების ძვირიან და ხანგრძლივ შემოწმებს ჩაანაცვლებს. სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად, გაფუჭებული საკვებით 600 მილიონი ადამიანი იწამლება. ასეთ ტექნოლოგიას უკვე იყენებენ იაპონიაში, თუმცა კანადელების შექმნილი შეფუთვა უფრო იაფია და შესაბამისად, მასობრივიც შეიძლება გახდეს.

საყვარელი ავტომობილით დამარხეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მამაკაცი საყვარელი ავტომობილით დამარხეს. ყოფილი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი ხშირად ეუბნებოდა ახლობლებს, რომ სურდა თავისი საყვარელი მანქანით – 90-იანი წლების Mercedes E 500-ით დაეკრძალათ. ერთ დროს მას ავტომობილების მთელი პარკი ჰქონდა, ბოლოს კი მხოლოდ ეს „მერსედესი“ დარჩა, თანაც გაფუჭებული და აღარ დადიოდა, მაგრამ მაინც ხშირად იჯდა შიგ და რადიოს უსმენდა. მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, ახლობლებს უამრავი ფორმალობის მოგვარება დასჭირდათ, მაგრამ მისი უკანასკნელი თხოვნა მაინც შეასრულეს – იმქვეყნად, საყვარელი მანქანის საჭესთან მჯდომი გაისტუმრეს.

ტურისტებს მარიანის ღრმულში ეპატიჟებიან

ამერიკულ-ბრიტანული კომპანია – EYOS Expeditions, პირველ კომერციულ ექსპედიციას აწყობს ოკეანის ყველაზე ღრმა წერტილში – მარიანის ღრმულში. ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა, გარდა კარგი ჯანმრთელობისა და გამბედაობისა, 750 ათასი დოლარის ქონაა. თუკი მოგზაურისთვის ასეთი თანხის გაღება პრობლემას არ წარმოადგენს, ექსპედიციის ორგანიზატორები მას სიამოვნებით ჩაიყვანენ 10 928 მეტრის სიღრმეზე – ჩელენჯერის ფსკერზე. ეს მარიანის ღრმულის ყველაზე ქვედა დონეა. ექსპედიციაში კომპანია სულ სამ ტურისტს წაიყვანს, ზუსტი თარიღი კი, ჯერჯერობით, უცნობია. ექსტრემალებს ერთი დღე დასჭირდებათ, მარიანის ღრმულამდე რომ მიაღწიონ. მერე კი ბატისკაფზე გადავლენ. ფსკერზე ყოველი ჩაყვინთვა, სულ მცირე, 12 საათს გაგრძელდება – 4-4 საათი ჩასვლა-ამოსვლას დასჭირდება, 4 საათსაც ფსკერზე გაატარებენ. აღსანიშნავია, რომ დღემდე, მარიანის ღრმულში, სულ 7 ადამიანი ჩავიდა, მათგან ერთ-ერთი, ჰოლივუდელი რეჟისორი ჯეიმს კემერონია.

ძაღლი სამსახურში აიყვანეს

ფინეთის ენერგეტიკულმა კომპანიამ Vantaan Energia, სამსახურში გერმანული ნაგაზი აიყვანა. განცხადება მისი დანიშვნის თაობაზე და ფოტო ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა. ორი წლის ნაგაზი ჰელსინკის გათბობის სისტემაში გაჟონვების აღმოჩენაზე გაიწვრთნება. ძაღლი მომავალი სამსახურისთვის ნაწილობრივ უკვე მოამზადეს – მას სხვადასხვა სუნის გარჩევა ასწავლეს, რაც მილებში პრობლემის არსებობაზე მიანიშნებს. როგორც ამბობენ, ნაგაზი ერთადერთი გაწვრთნილი ძაღლია მილების „პროფესიონალურად“ დაყნოსვაზე და ასევე, ერთადერთია, რომელიც მსგავს თანამდებობაზე „მუშაობს“.

ახალი სუპერპროდუქტი – ყავის ფქვილი

ახლად მოდუღებული ფინჯანი შავი ყავა არა მხოლოდ დღის სიმხნევით დაწყებაში გვეხმარება, არამედ ის ქლოროგენური მჟავით – ანტიოქსიდანტითაც გვამარაგებს, რომელიც არეგულირებს წნევასა და შაქრის დონეს სისხლში. ამერიკელმა სწავლულებმა გადაწყვიტეს, ეს ნივთიერება ხელმისაწვდომი გაეხადათ მათთვისაც, რომლებიც ყავას არ მიირთმევენ. მათ შექმნეს ყავის ფქვილი, რომლის გამოყენებაც ცხობისას, ნაწილობრივ შეიძლება. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამგვარ ფქვილში ყავის ყველა ანტიოქსოდანტის შესანარჩუნებლად, მარცვალი დაბალ ტემპერატურაზე, ცოტა ხნით უნდა მოეხალათ. ასეთი ტექნოლოგიით მიღებული ყავა სასმელად არ გამოდგება, სამაგიეროდ, იდეალური ნედლეულია სასარგებლო ფქვილისთვის. სწავლულების თქმით, ყავის ფქვილს ნიგვზის გემო დაჰკრავს და არ შეიმჩნევა სიმწარე, რაც ამ არომატული სასმელისთვისაა დამახასიათებელი. ყავის ფქვილის მოსამზადებლად, მარცვლების მოხალვისა და დაფქვის ტექნოლოგია მკვლევარებმა უკვე დააპატენტეს.

ინტელექტის დონე ნეირონებზეა დამოკიდებული

მკვლევარები ნიდერლანდებიდან, მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ: აღმოჩნდა, რომ ადამიანის ინტელექტის დონე თავის ტვინში ნეირონების ზომაზეა დამოკიდებული. ამის გასარკვევად, სწავლულებმა 35 პაციენტი გამოიკვლიეს, რომელთაც ნეიროქირურგიული ოპერაცია სჭირდებოდათ ეპილეფსიის მძიმე ფორმის, ან თავის ტვინის კიბოს გამო. ოპერაციისას, მედიკოსებმა თავის ტვინის ჯანმრთელი ნაწილის მცირე ფრაგმენტები აიღეს, მათი შესაწავლის მიზნით. გარდა ამისა, ოპერაციამდე, ყველა მონაწილემ ინტელექტის დონის შესამოწმებელი ტესტი გაიარა. ქსოვილის ნიმუშები შუბლის ნაწილიდან აიღეს, რომელიც პასუხისმგებელია ენების აღქმაზე, მეხსიერებასა და სენსორული იმპულსების დამუშავებაზე. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტი იყო ნეირონები თავის ტვინში, მით მაღალი იყო ადამიანის ინტელექტის კოეფიციენტი.

ძილისპირული ამბები ვარსკვლავებისგან

თუკი ოდესმე გიოცნებიათ, რომ დაძინების წინ, თქვენს საყვარელ მსახიობს გასაუბრებოდით და ამის შემდეგ, ტკბილად ჩაგძინებოდათ, ძალიან გაგიმართლათ. სტრიმინგ-სერვისმა HBO Max-მა, ათეპიზოდიან პროექტზე დაიწყო მუშაობა, რომელსაც A World of Calm ჰქვია. მას ცნობილი აპლიკაცია Calm-ის შთაგონებით იღებენ, რომელიც საკუთარ მომხმარებლებს მედიტაციასა და დამშვიდებაში ეხმარება. ახალ პროექტსაც მსგავსი დატვირთვა ექნება – მაყურებლებსა და მსმენელებს შესაფერისი ვიდეო და აუდიომასალით განტვირთვასა და მოდუნებაში შეუწყობს ხელს. რაც მთავარია, ამ პროცესში ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას, როგორებიც არიან კიანუ რივზი, ნიკოლ კიდმანი, ზოი კრავიცი, იდრის ელბა, ლუსი ლუ, ოსკარ აიზეკი, კილიან მერფი და სხვა. ჯერჯერობით, უცნობია, როდის დაიწყება ახალი პროექტი.

ყველაზე უცნაური სერვისები მსოფლიოში

ჯერ კიდევ ეძებთ იდეას სტარტაპისთვის და ვერ აგირჩევიათ, რით დაკავდეთ? მაშინ, სჯობს, იჩქაროთ, რადგან ბევრი ადამიანი ფულს უცნაური მეთოდებით შოულობს. მაგალითად, არსებობს კომპანია, რომელიც „ჯადოსნური ყუთის“ მიტანის სერვისითაა დაკავებული. დრო, როცა ადამიანმა დაზუსტებით იცოდა, რას ყიდულობდა, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა. ცოტა ხნის წინ, ამოქმედდა საიტი Somethingstore.com, რომლის მეშვეობითაც ყიდულობთ „რაღაცას“, მაგრამ წარმოდგენა არ გაქვთ, რას. საიტზე დარეგისტრირებაა საჭირო და იმის არჩევა, რა თანხის დახარჯვას აპირებთ. მინიმალური თანხა 10 დოლარია. ფორმის წარმომადგენლებს შეკვეთილ მისამართზე მიაქვთ „ჯადოსნური ყუთი“ და მისი მფლობელი მხოლოდ ამის შემდეგ იგებს, რა იყიდა. ზოგჯერ ეს ფაიფურის ქანდაკებაა, ან საათი და სხვა ამდაგვარი, რომელთა საჭიროებაზე არც კი დაფიქრებულხართ.

ყალბი ურთიერთობების სერვისი – Invisible Boyfrined, სულ რაღაც 25 დოლარად, ნებისმიერ მსურველს ყალბ ურთიერთობებს სთავაზობს. საიტზე აირჩევთ „პატრნიორის“ გარეგნობას, სახელს, ჩვევებს, ინტერესებს და იმასაც კი, თუ როგორ „გაიცანით“ ერთმანეთი. შემდეგ იღებთ 100 მესიჯს, 10 ხმოვან შეტყობინებას და ხელით დაწერილ ერთ წერილს, რომელსაც თქვენი, „ვითომ“ შეყვარებული აწერს ხელს. ვის რაში სჭირდება ასეთი მომსახურება, გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, რომ სერვისი მუშაობს.

საჭმლის ფასიანი ვიდეოარხი – ზოგიერთ ადამიანს მოსწონს იმის ყურება, როგორ ჭამენ სხვები. ინგლისურში ამის შესაფერისი სიტყვაც კი დამკვიდრდა – მუკბენგი. სამხრეთ კორეელებმა სიტყვა საქმედ აქციეს – სპეციალური ფასიანი ვიდეოარხი იქ ჯერ კიდევ 2009 წელს ამოქმედდა, სადაც შეგიძლიათ, გაუთავებლად უყუროთ, როგორ ჭამენ თქვენთვის სრულიად უცხო ადამიანები კამერის წინ. ვიდრე თქვენ იმაზე დაფიქრდებით, ვისთვისაა ეს პროცესი საინტერესო, არხის ყველაზე პოპულარული გოგონა პარკ სეო-იონი თვეში, დაახლოებით, 10 ათას დოლარს გამოიმუშავებს.

მასაჟი სილის გაწვნებით – ტაილანდელი მასაჟისტი ტატა, სახის ესთეტიკურ მასაჟს სილის გაწვნებით გთავაზობთ. ერთი სეანსი 350 დოლარი ჯდება, თვიური აბონემენტი კი 1 000 დოლარი ღირს. ამგვარი მასაჟი ნაოჭებს ამცირებს და კანის ელასტიურობას ზრდის, – გპირდებათ ტატა. მისი სალონი სან-ფრანცისკოში მდებარეობს, თუმცა სერვისი ხელმისაწვდომია ოსტატის სამშობლოში – ტაილანდშიც. წარმოგიდგენიათ, ვიღაც სახეში გირტყამთ და თან ამაში მას ფულიც უნდა გადაუხადოთ?!

მობოდიშების სერვისი – ამომავალი მზის ქვეყანაში, ეს სამსახური იმ ადამიანებისთვის მოიგონეს, რომლებსაც ბოდიშის მოხდა სურთ, მაგრამ ამ საჭირო სიტყვების თქმას ვერ ახერხებენ. შეგიძლიათ, სერვისებს შორის აირჩიოთ პირადი მობოდიშება, სატელეფონო ან ელექტრონული. პროფესიონალი, სააგენტოდან, შეადგენს მობოდიშების ტექსტს და თქვენთან შეათანხმებს. ფასებიც, როგორც ცნობილია, სერვისის სახეობის მიხედვით იცვლება.

დიაგნოზი გაზების მიხედვით – მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო სამსახური, ალბათ, ამ პროფესიის ადამიანებს აქვთ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩინეთში პოპულარულები გახდნენ პროფესიონალი „დამსუნავები“, რომელთაც მეტეორიზმის შედეგად გამოშვებული გაზების მიხედვით, შეუძლიათ, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაარკვიონ. მათ wen pishi-ს უწოდებენ. ამ პროფესიის წარმომადგენლებს ხელფასიც საკმაოდ კარგი აქვთ – 50 ათასი დოლარი წელიწადში. უცნობია, აუცილებელია თუ არა მათთვის სამედიცინო განათლება, დიაგნოზი რომ დაწერონ, თუ ამის გაკეთება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ცხენის ექსკრემენტების გაგზავნა – საიტი Shit Express დაგეხმარებათ, გამოხატოთ საკუთარი განცდები სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, თუ შეყვარებული თქვენს მეგობართან გღალატობთ, სულ რაღაც 17 დოლარად, შეძლებთ, ცხენის ექსკრემენტებიანი კონტეინერი გაუგზავნოთ ავის მოსურნეებს. სერვისის მფლობელი ამტკიცებს, რომ მისი მომსახურება ძალიან წარმატებულია და უკვე 10 ათასი დოლარის შემოსავალი მოუტანა.

ადამიანის მოტაცების სერვისი – ფრანგული კომპანია Ultime Réalité, გთავაზობთ, ადამიანის მოტაცების სამსახურს, თუმცა აქ მხოლოდ საკუთარი თავის შეკვეთა შეგიძლიათ. სერვისის საფასური 1 000 დოლარია და მასში შედის: პირის აკვრა წებოვანი ლენტით, გაკოჭვა და რამდენიმე საათით ოთახში ან ავტოფარეხში ჩაკეტვა. ბიზნესის მფლობელი ჯორჯ კეკსუსი აცხადებს, რომ კომპანიის შექმნიდან, ისინი დღეში, სულ მცირე, ორ შეკვეთას მაინც ასრულებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.